შპს მტკვარი ენერჯი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
ფინანსური ანგარიშგებები და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2020 წ.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგებები

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 1
ანგარიშგება მოგება-ზარალის და მთლიანი შემოსავლის შესახებ 2
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 3
ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 4

ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებული შენიშვნები

1 შპს მტკვარი ენერჯი და მისი საქმიანობა. 5
2 კომპანიის სამუშაო გარემო 6
3 მომზადების საფუძველი 6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 14
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 15
6 ახალი და გადახედული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 15
7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები 19
8 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 21
9 ძირითადი საშუალებები 22
10 სასაქონლო-მატერიალური მარაგები 22
11 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. 23
12 ფული და ფულის ექვივალენტები 23
13 საწესდებო კაპიტალი 23
14 სესხები 25
15 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები 25
16 შემოსავლები 25
17 რეალიზაციის ხარჯები 26
18 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 26
19 სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა 26
20 ფინანსური შემოსავალი 26
21 ფინანსური ხარჯები 27
22 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები. 37
23 ფინანსური რისკის მართვა 32
24 კაპიტალის მართვა. 32
25 ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ 34
26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა საზომი კატეგორიის მიხედვით 34
27 ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები 34

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობის ანგარიში - კომპანიის საქმიანობების მიმოხილვა 2020 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მტკვარი ენერჯის ხელმძღვანელობას და მფლობელს.

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგებები ყველა არსებით საკითხთან დაკავშირებით ობიექტურად ასახავს შპს „მტკვარი ენერჯის“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ შედეგებს და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ შევამოწმეთ:

ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც მოიცავს:

- ანგარიშგებებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ანგარიშგებებს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ანგარიშგებებს კაპიტალში ცვლილების შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის; და
- ანგარიშგებებს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის; და
- შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტური შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტურ შემოწმებაზე.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტური მონაცემები საკმარისი და შესატყვისია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენი აუდიტური დასკვნის საფუძვლად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად და ასევე ვიცავთ ჩვენს ეთიკურ პასუხისმგებლობებს IESBA კოდექსის თანახმად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (მაგრამ არ მოიცავს ამ ფინანსური ინფორმაციას და ჩვენს აუდიტურ დასკვნას მასზედ).

ჩვენი დასკვნა წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მათ შორის ხელმძღვანელობის ანგარიშს.

“შპს ფრაის უოთერ ჰაუს კუპერს ჯორჯია“
King David ბიზნეს ცენტრი, 7 სართული, #12 მ. ალექსიძის ქუჩა, თბილისი 0171, საქართველო
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

ჩვენს მიერ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტურ შემოწმებასთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამ სახით განვიხილოთ არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტური შემოწმების დროს ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად ავლენს არსებით უზუსტობებს. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობები ხელმძღვანელობის ანგარიშში, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს არ გვაქვს ასეთი განცხადების საფუძველი

გარდა ამისა, ჩვენ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ვალდებულნი ვართ გამოვხატოთ მოსაზრება შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის კონკრეტული ნაწილები მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი დასკვნით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ფინანსური წლისთვის, როდესაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებებს.

ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მ-6 პუნქტს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე და ობიექტურ წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, შესაძლებელს გახდის ისეთი ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობები, განაგრძოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, წარმოადგინოს ინფორმაცია მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს აღრიცხვის მეთოდი მოქმედი საწარმოს საფუძველზე მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდეს იმ შემთხვევაში, თუ მათ ცალკე ან მთლიანობაში, გონივრულ ფარგლებში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები სისაფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე ჩვენ:

ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტური პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტური მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტური მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის არსებობის პერსპექტივა. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ ასეთი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტურ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების საერთო წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის ინფორმაციას და ვაფასებთ წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშგებები ძირითად ტრანზაქციებს და მოვლენებს ობიექტურად.

სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, მართვაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტური დასკვნების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში გამოვლენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

"შპს ფრაის უოთერ ჰაუს კუპერს ჯორჯია"-ს სახელით (რეგ. # SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რგ. #SARAS-A-562091)

25 მაისი 2021 წ.
თბილისი, საქართველო.

შპს მტკვარი ენერჯი
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები		48,376	51,144
ძირითადი საშუალებები		35	44
არამატერიალური აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		**48,411**	**51,188**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		6,732	6,608
გაცემული სესხები	11	9,168	2,069
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	12	18,904	23,324
დასაბრუნებელი დღგ და წინასწარ გადახდილი გადასახადები		413	631
ფული და ფულის ექვივალენტები		1,280	2,063
სულ მიმდინარე აქტივები		**36,497**	**34,695**
სულ აქტივები		**84,908**	**85,883**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	10,377	10,377
გაუნაწილებელი მოგება		40,396	34,364
სულ კაპიტალი		**50,773**	**44,741**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		12,875	14,065
სესხები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**12,875**	**14,065**
მიმდინარე ვალდებულებები		6,212	5,625
სესხები		15,048	21,452
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**21,260**	**27,077**
სულ ვალდებულებები		**34,135**	**41,142**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**84,908**	**85,883**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 25 მაისს შემდეგი პირების მიერ:

მალხაზ იასეშვილი
გენერალური დირექტორი

თეონა კორტი
მთავარი ბუღალტერი

მტკვარი ენერჯი
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები		65,342	120,817
რეალიზაციის ხარჯი	0	(53,396)	(115,222)
მთლიანი მოგება		**11,946**	**5,595**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(2,783)	(3,240)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი		-	(51,817)
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა		(159)	(485)
საოპერაციო მოგება /(ზარალი)		**9,004**	**(49,947)**
ფინანსური შემოსავალი		500	31
ფინანსური ხარჯი		(3,472)	(2,683)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**6,032**	**(52,599)**
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში		**6,032**	**(52,599)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი მოგება /(ზარალი) წლის განმავლობაში		**6,032**	**(52,599)**

ათას ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	**10,377**	**86,963**	**97,340**
ზარალი წლის განმავლობაში	-	(52,599)	(52,599)
სულ მთლიანი ზარალი წლის განმავლობაში	-	(52,599)	(52,599)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**10,377**	**34,364**	**44,741**
მოგება წლის განმავლობაში	-	6,032	6,032
სულ მთლიანი მოგება წლის განმავლობაში	-	6,032	6,032
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**10,377**	**40,396**	**50,773**

შპს მტკვარი ენერჯი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		69,610	103,840
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(55,968)	(92,619)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(3,289)	(3,407)
გადასახადები, მოგებაზე გადახდილი გადასახადების გარდა		(404)	(859)
ოპერაციებიდან გენერირებული ფულადი სახსრები		**9,949**	**6,955**
გადახდილი პროცენტი		(1,246)	(1,483)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**8,703**	**5,472**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
გაცემული სესხები		(6,610)	(2,250)
გაცემული სესხების დაფარვა		27	267
გადახდები არამატერიალური აქტივებისთვის		(2)	-
გადახდები ძირითადი საშუალებებისთვის		(96)	(91)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,681)**	**(2,074)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
შემოსავლები სესხებიდან		14,964	15,653
სესხების დაფარვა		(17,782)	(17,117)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(2,818)**	**(1,464)**
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		13	3
წმინდა (კლება) /ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		**(783)**	**1,937**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		2,063	126
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		**1,280**	**2,063**

1 შპს მტკვარი და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შპს „მტკვარი ენერჯისთვის" („კომპანია").

კომპანია დაფუძნდა 1999 წელს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 202066726.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და 100%-ის მფლობელი იყო შპს Georgian Industrial Group Holding ('GIG Holding'), საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. კომპანია შეიძინა GIG Holding-მა 2016 წლის ივნისში. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის მარშალის კუნძულების რესპუბლიკაში რეგისტრირებული შპს Chemexim International. კომპანიას საბოლოოდ აკონტროლებს ბ-ნი დავით ბეჟუაშვილი, საქართველოს მოქალაქე.

2020 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 195 თანამშრომელი (2019 წ: 191).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოს ელექტროსისტემისთვის გარანტირებული სიმძლავრის ელექტროენერგიის წარმოების უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის გენერაცია. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივია თბოელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს ქალაქ გარდაბანში, საქართველო. რეზერვირების რეჟიმის პერიოდი, გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი, ასევე წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფი რეგულირდება საქართველოს მთავრობის და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ („სემეკ").

2020 წლის განმავლობაში, სემეკ-მა დაადგინა შემდეგი ტარიფები და პერიოდი:

- რეზერვირების პერიოდი - 276 დღე;
- გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი - 77,330 ლარი დღეში;
- ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი კვ/სთ 2020 წელს შეადგენდა: იანვარში - 0.12636 ლარი, თებერვალში - 0.12290 ლარი, სექტემბერში - 0.16030 ლარი, დეკემბერში - 0.13987 ლარი.

2021 წლის განმავლობაში, გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი დღეში შემცირდა 69,649 ლარამდე და ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი 2021 წლის მარტში შეადგენდა 0,15722 ლარს.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი: საქართველო, გარდაბანი, აღმაშენებლის ქუჩა #2.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარში ('GEL', 'ლარი').

2 კომპანიის სამუშაო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზრების კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია მთავრობის მიერ გახორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად.

საქართველოს ეკონომიკაზე კვლავ უარყოფით გავლენას ახდენს მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობა რეგიონში. ამასთან 2020 წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაცხადა კოვიდ–19 გლობალური პანდემია. პანდემიაზე რეაგირებისთვის საქართველოს მთავრობამ განახორციელა რიგი ზომები კოვიდ–19–ის ზემოქმედებისა და გავრცელების შესაკავებლად, როგორიცაა მოგზაურობის აკრძალვები და შეზღუდვები, კარანტინი, თვითიზოლაციის ბრძანებები და შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობაზე, მათ შორის დახურვები. აღნიშნულმა ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა და შესაძლოა კვლავ მოახდინოს ბიზნესზე, ბაზრის მონაწილეებზე, ასევე საქართველოზე და გლობალურ ეკონომიკაზე გაურკვეველი ვადის განმავლობაში.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათ შედეგებზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზეც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და თანამშრომლების განვითარების ხელშესაწყობად.

3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, თავდაპირველი ღირებულების პრინციპის საფუძველზე და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პრინციები მითითებულია 4 შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს კონკრეტული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს თავისი შეფასებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის სირთულეებით ან განსჯადობით, ან რომელშიც დაშვებებსა და შეფასებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ფინანსური ანგარიშგებებისთვის, წაროდგენილია 5 შენიშვნაში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალუტის გაცვლა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი (“ლარი”, “GEL”).

ტრანზაქციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის მოქმედი, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების ანგარიშსწორების და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური მოგება ან ხარჯი. ვალუტის გადაცვლა წლის ბოლოს განაკვეთებით არ გამოიყენება არაფულად ერთეულებზე, რომლებიც შეფასებულია თავდაპირველი ღირებულებით.

2020 წლის 31 დეკემბერს, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის განსაზღვრით, შეადგენდა შემდეგს: 1 აშშ დოლარი (“USD”) = 3.2766 ლარი და 1 ევრო = 4.0233 ლარი, (2019 წ. 31 დეკემბერი:1 აშშ დოლარი (“USD”) = 2.8677 ლარი და 1 ევრო (“EUR”) = 3.2095 ლარი; 31 დეკემბერი 2018 წ.: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი და 1 ევრო = 3.0701 ლარი;). დღესდღეობით საქართველოს ვალუტა ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, მინუს აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, საჭიროების შემთხვევაში. ძირითადი საშუალებები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებებში წარმოდგენილია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც არის პირობითი ღირებულება ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, მინუს აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, საჭიროების შემთხვევაში. სამართლიანი ღირებულების შეფასება განხორციელდა 2016 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ და გადაიდო ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდგომი ხარჯები შეტანილია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, გარემოებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შედინება კომპანიაში და მისი ღირებულების საიმედოდ აღრიცხვა. მცირე რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღრიცხვა ხდება მათი გაწევის შემდეგ. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა ახდენს შეფასებას, ხომ არ შეინიშნება ძირითადი საშუალებების გაუფასურება. ამგვარი ნიშნების არსებობის შემთხვევაში

ხელმძღვანელობა აფასებს ასანაზღაურებელ თანხას, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: აქტივის უმაღლეს სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის დანახარჯები და მისი სამომხმარებლო ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ასანაზღაურებელ თანხამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხორციელდება წლის მოგება- ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი შებრუნდება იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება აქტივის სამომხმარებლო ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასებითი მაჩვენებლები ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები..

ძირითადი რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მოცემული წლის განმავლობაში.

ცვეთა. მიწა და მშენებარე ობიექტები არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების სხვა კომპონენტების ცვეთა გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით იმისათვის, რომ მათი ღირებულება მათსავე ნარჩენ ღირებულებებზე გადანაწილდეს, მათი სავარაუდო საექსპლუატაციო ვადების განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადები წლების მიხედვით
• შენობები	20 to 35
• ჰიდროტექნიკური ნაგებობები	20 to 35
• მილგაყვანილობები და მოწყობილობები	14 to 20
• მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	7 to 20
• არმატურა და ფიტინგები	5 to 7
• ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 to 7

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშო თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს კომპანიამ აქტივის გასხვისებიდან, მინუს გასხვისების საორიენტაციო ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალური აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები და ძირითად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამული უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზებულია მათი შეძენის და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე..

განვითარების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კომპანიის მიერ კონტროლირებულ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მზარდი ეკონომიკური სარგებელის შემოდინება, რომელიც აჭარბებს ხარჯებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ჯგუფში შემავალი პერსონალის ხარჯებს და შესაბამის ზედნადებ ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება მათი გაწევის მიხედვით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში. სასარგებლო გამოყენების ვადები კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფისა და ლიცენზიებისთვის შეადგენს 2-დან 10 წლამდე პერიოდებს.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება სამომხმარებლო და სამართლიანი ღირებულების უმაღლეს ღირებულებამდე, რეალიზაციის ღირებულების გამოკლებით.

აქტივი გამოყენების უფლების ფორმით. კომპანია იჯარით გასცემს სხვადასხვა აქტივებს. კონტრაქტები შესაძლოა მოიცავდეს როგორც საიჯარო, ასევე არასაიჯარო კომპონენტებს, მათი დამოუკიდებელი ფასების საფუძველზე

აქტივები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან თავდაპირველად შეფასებულია მიმდინარე ფასების საფუძველზე.

აქტივი გამოყენების უფლების ფორმით თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას,
- საიჯარო გადახდებს, რომელიც განხორციელებულია დაწყების დღეს ან მანამდე, მინუს მიღებული საიჯარო სტიმულები,
- ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ ხარჯს; და
- აქტივის აღდგენის ხარჯს, საიჯარო ხელშეკრულებებით მოთხოვნილ მდგომარეობაში.

აქტივი გამოყენების უფლების ფორმით შემდეგ გაუფასურდება წრფივი მეთოდის საფუძველზე აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას და იჯარის ვადას შორის უფრო მოკლე ვადაში. გამოყენების უფლების ფორმით აქტივი ელემენტების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით შეფასებულ სასარგებლო გამოყენების ვადაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა ან არამატერიალური აქტივები, რომლებიც არ არიან მზად გამოყენებისთვის, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და მოწმდება გაუფასურებაზე ყოველწლიურად. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, გადაიხედება გაუფასურებაზე როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ დაექვემდებაროს ანაზღაურებას. გაუფასურების ზარალი აღიარება ხდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ჩანაცვლების ღირებულებას. ჩანაცვლების ღირებულება აღემატება აქტივის სამართლიან ღირებულებას მინუს რეალიზაციის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულება. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელზეც ისინი წარმოქმნიან დამოუკიდებელ ფულად ნაკადებს (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები გადაიხედება შესაძლო შებრუნებაზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდილი იქნეს ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგებისას შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, რომლის პირობებშიც აქტივთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებული გარიგებები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ რეგულარულად იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ფასების შესახებ..

აქტიურ ბაზარზე ბრუნვაში გაშვებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება, როგორც კოტირებული ფასის პროდუქტი ინდივიდუალური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის და საწარმოს მიერ ფლობილი რიგი ინსტრუმენტებისთვის. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც ჩვეულებრივი საბაზრო ყოველდღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი არსებული რაოდენობის ასათვისებლად და ერთჯერადი გარიგებით პოზიციების გაყიდვასთან დაკავშირებული შეკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ან დამოუკიდებელ მხარეებს შორის ბოლოდროინდელ გარიგებებზე დაფუძნებული მეთოდები ან ინვესტიციის მიმღების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებთანაც დაკავშირებითაც უცხოური ბაზრების ფასების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია. სამართლიანი ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქციაში მათი დონის მიხედვით (i) პირველი დონის შეფასებებია შეფასებები აქტიურ ბაზრებზე კოტირებულ (არაკორექტირებულ) ფასებად იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებებია შეფასების მეთოდები, რომლებშიც აღინიშნება ყველა მატერიალური დანახარჯი აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირი (როგორიც არის ფასები) ან არაპირდაპირი გზით (ანუ ფასებიდან გამოყვანილი), და (iii) მესამე დონის შეფასებებია შეფასებები, რომლებიც არ ემყარება მხოლოდ არსებულ საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან ხელმიუწვდომელ საბაზრო მონაცემებს).

გარიგების ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯებია ის ხარჯები, რომლებიც არ შეიძლება გაწეული იქნეს, თუ არ ხორციელდება გარიგება. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (იმ თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოსა და ანაზღაურებას, მარეგულირებელი სააგენტოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გადარიცხვის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მარაგების შენახვის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება ("AC") წარმოადგენს თანხას, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა თავდაპირველად აღიარებული, მინუს ძირითადი თანხის დაფარვების თანხა, პლუს დარიცხული პროცენტები, და ფინანსური აქტივებთან მიმართებაში – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("ECL") რეზერვის გამოკლებით. დარიცხული პროცენტები მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების ხარჯების და ნებისმიერი პრემიის თუ დისკონტის ამორტიზებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტებით მიღებული შემოსავალი და ხარჯი დაგროვილი კუპონების შემოსავლისა და ამორტიზირებული დისკონტისა ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული მოსაკრებლების ჩათვლით, მათი არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებლად და არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პუნქტების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების შესაბამის პერიოდზე იმგვარად გადანაწილების მეთოდი, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო

ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის საშუალებითაც ზუსტად ხორციელდება სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორებების ან შემოსავლების დისკონტირება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო მოქმედების ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში (შესაბამის შემთხვევებში), ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით ხორციელდება სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის ხელახალი შეფასების მომდევნო თარიღისთვის, პრემიისა და იმ ფასდაკლების გამოკლებით, რომელიც ასახავს საკრედიტო "სპრედს" ინსტრუმენტში განსაზღვრულ მცურავ განაკვეთთან მიმართებაში, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ დგინდება საბაზრო განაკვეთებთან დაკავშირებით. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიან მოსალოდნელ მომსახურების ვადაში. მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშება მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა მოსაკრებელს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს შეადგენს. პოლიტიკა). აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ შეძენილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულ აქტივებს („POCI") თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკით, ე.ი. გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდების ნაცვლად.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL (სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში) თავდაპირველად აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ტრანზაქციულ ხარჯებზე. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას, მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებულ საბაზრო მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი აღიარებულია ფინანსურ აქტივებში, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და ინვესტიციებში სავალო ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია FVOCI-ით (სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში), რაც იწვევს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შეფასების შემდეგი კატეგორიებით: ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს როგორ მართავს კომპანია აქტივებს ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით - არის თუ არა კომპანიის მიზანი: (i) აქტივებიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება („ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“, ან (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების ამორება („ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი სახელშეკრულები ფულადი ნაკადები“) ან თუ არც (i) და არც (ii) პუნქტი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელის ფარგლებში და იზომება ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL).

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე იმ საქმიანობების შესახებ, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების თარიღისთვის არსებული პორტფელისთვის დასახული მიზნების მისაღწევად. ბიზნეს მოდელსი განსაზღვრისას კომპანიის მიერ გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმის თაობაზე თუ როგორ იქნა ამოღებული ფულადი ნაკადები შესაბამის აქტივებთან დაკავშირებით, როგორც იქნა შეფასებული და მართული რისკები, როგორ შეფასდა აქტივების ეფექტურობა და როგორ ხდება მენეჯერების კომპენსაცია.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ ბიზნეს-მოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, კომპანია აფასებს წარმოდგენილია თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით (“SPPI”).

თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადაფასება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს სამომავლო ეფექტი და იწყება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ. საწარმომ არ შეცვალა თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდში და არ განახორციელა არანაირი რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვის - ECL-თან დაკავშირებით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია პროგნოზის საფუძველზე, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) სავალო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემესავალში (FVOCI) და რისკებისთვის, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან საკონტრაქტო აქტივებისთვის. კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს ფინანსურ და საკონტრაქტო აქტივებზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გასული მოვლენების, არსებული პირობების და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მეთოდს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოყენებას ყველა დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად დებიტორული დავალიანებები ჯგუფდება საკრედიტო რისკის საერთო მახასიათებლების საფუძველზე (დებიტორული დავალიანებები შეიძლება დაჯგუფდეს

გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, კლიენტთა რეიტინგის, დამატებითი ან სავაჭრო კრედიტების დაზღვევის მიხედვით). მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტები ეფუძნება გაყიდვების დაფარვის განრიგს გასული 360 თვის განმავლობაში და ამ პერიოდში წარმოქმნილ თავდაპირველ საკრედიტო ზარალს. გასული პერიოდის ზარალის კოეფიციენტები კორექტირდება მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაციის ასახვის მიზნით მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს კლიენტების დებიტორული დავალიანებების დაფარვის შესაძლებლობაზე.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს აღდგენის ყველა პრაქტიკულ ზომას და არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ აქტივი ანაზღაურდება. ჩამოწერა ისეთი მოვლენაა, რომელიც იწვევს აღიარების შეწყვეტას. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც კვლავ ექვემდებარება ამოღებას, როდესაც კომპანია ცდილობს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხების ამოღებას, თუმცა არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ასეთ თანხებს აინაზღაურებს.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსურ აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადო სპეციალური ტრანზიტული შეთანხმება, რომლის თანახმად (i) კომპანიამ გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი ან (ii) კომპანიას არ გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი, გარდა მათზე კონტროლის უფლებისა.

კონტროლის უფლება ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა სრულად მიყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც შემდგომ შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებისა, რომლებიც შეფასებულია FVTPL-ით (სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში): ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულ ინსტრუმენტებზე, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად მოკლე პოზიცია ფასიან ქაღალდებში), პირობით ანაზღაურებაზე, რომელიც აღიარებულია შემძენის მიერ ბიზნესის გაერთიანებაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ სახით თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ე.ი. როდესაც კონტრაქტში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიას და მის თავდაპირველ კრედიტორებს შორის სავალო ინსტრუმენტების გაცვლა არსებითად განსხვავებული პირობებით, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობებისა და დებულებების არსებითი მოდიფიკაციებით, აღირიცხება როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. პირობები არსებითად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი გადახდილი საფასური მიღებული და დისკონტირებული საფასურის გამოკლებით, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მინიმუმ 10% პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დანარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. იმ შემთხვევაში, თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აღიარებულია მოგების ან ზარალის ნაწილად დაფარვისას. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლა ან მოდიფიკაცია არ აღირიცხება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დანარჩენ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს დაფარვას, ითვლება ცვლილებად შეფასებაში წინა რიცხვით ამორტიზაციის დარიცხვის კუმულაციური პროცედურის გამოყენებით, მოგება-ზარალში აღიარებული მოგებით ან ზარალით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბალანსო

ღირებულებებში სხვაობის ეკონომიკური არსი უკავშირდება კაპიტალურ გარიგებას მფლობელებთან.

ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა განხორციელდება და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წმინდა თანხა აისახება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული ტანხების ურთიერთჩათვლის კანონით განსაზღვრული უფლება, და არსებობს განზრახვა, რომ ჩათვლა განხორციელდეს ნეტო–საფუძველზე, ან ერთდროულად მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა. ჩათვლის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ შემთხვევაზე და (ბ) და უნდა იყოს იურიდიულად ქმედუნარიანი ყველა შემდეგ შემთხვევაში: (i) საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში (iii) გადახდისუუნაროობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, მოთხოვნამდე ანაბრებს ბანკში და სხვა მოკლევადიან, მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა შეადგენს სამ თვეს ან უფრო ნაკლებ პერიოდს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) თუ ისინი არ არის შეტანილი საკონტრაქტო პირობებში იმ სახით, რომ აღნიშნული პრინციპი გამოყენებული იქნებოდა კანონმდებლობის შესწორების შემთხვევაშიც, ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს (მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდა), და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ კანონმდებლობით, როგორიცაა რესტრუქტურიზაციის კანონი კონკრეტულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას SPPI ტესტზე, შემდგომი შეცვლის შემთხვევაშიც კი. შეზღუდული გამოყენების ნაშთები გამოირიცხება ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის. ნაშთები, რომელთა გაცვლა ან გამოყენება ვალდებულებების დასაფარად აკრძალულია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, შეტანილია სხვა გრძელვადიან აქტივებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები დაირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სესხები. სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, გაწეული საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია. იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული საერთო და კონკრეტული სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით და საჭიროებს დიდ დროს დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის ან გასაყიდად მომზადებისთვის (კვალიფიცირებული აქტივი) ხორციელდება როგორც აღნიშნული აქტივების ხარჯების ნაწილი, თუ კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება 2009 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება, როდესაც: (ა) კომპანია გაწევს ხარჯებს კვალიფიცირებულ აქტივზე; (ბ) გაწევს სასესხო ხარჯებს; და (გ) შეასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელიც საჭიროა აქტივის მოსამზადებლად დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია გაგრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად იქნება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სასესხო ხარჯების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შეიძლებოდა, თუ ის არ გაწევდა კაპიტალურ ხარჯებს კვალიფიცირებულ აქტივებზე. კაპიტალიზებული სასესხო ხარჯები გამოანგარიშდება კომპანიის დაფინანსების საშუალო ღირებულების საფუძველზე (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯები გამოიყენება კვალიფიცირებული აქტივების ხარჯებზე) იმ შემთხვევების გარდა, როდესაც რომ სესხების აღება კონკრეტულად კვალიფიცირებული აქტივის შესყიდვის მიზნით ხდება. ასეთ შემთხვევაში სესხების ფაქტობრივი ხარჯები, აღნიშნული სესხების დროებითი ინვესტირებით მიღებული საინვესტიციო შემოსავლების გამოკლებით, ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

საიჯარო ვალდებულებები. საიჯარო ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან, თავდაპირველად შეფასებულია მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), მისაღები საიჯარო სტიმულების გამოკლებით.

სხვაობა ფაქტობრივ საიჯარო გადახდებს, რომელიც ეფუძნება ყოველთვიურ გაყიდვებს თითოეულ გაზგასამართ სადგურზე და მინიმალურ საკონტრაქტო საიჯარო გადახდებს შორის, განიხილება საოპერაციო იჯარის ხარჯად და ირიცხება მოგება-ზარალში.

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შეტანილია რიგ იჯარებში კომპანიის ფარგლებში. აღნიშნული პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის საქმიანობებში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. გაგრძელების ოფციონების უმეტესობა გამოიყენება მხოლოდ კმპანიის მიერ და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ, ხოლო შეწყვეტის ოფციონები გამოიყენება, როგორც კომპანიის, ასევე მეიჯარის მიერ. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდი შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) შეტანილი იქნება საიჯარო პირობებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იჯარა დასაბუთებულად უნდა გაგრძელდეს (ან არ შეწყდეს). საიჯარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სათანადოდ დასაბუთებული გაგრძელების ოფციონების შესაბამისად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით, განაკვეთით, რომელსაც კომპანია გადაიხდიდა გამოყენების უფლების ფორმის აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოპოვებისთვის საჭირო სახსრების სასესხებლად, მსგავს ეკონომიკურ პირობებში, ანალოგიური პირობებით და უზრუნველყოფით.

მზარდი სასესხო განაკვეთის განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს ცვლილებებით საიჯარო კონტრაქტის დენომინირებული ვალუტის და პირობების შესაბამისად. ეს მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირითად და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის ვადაში, მუდმივი პერიოდული საპროენტო განაკვეთის მისაღებად ვალდებულების ნაშთზე თითოეულ პერიოდში.

მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები 12 თვიანი ან ნაკლები იჯარის ვადით..

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ჩარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში ანგარიშგების პერიოდის დასრულებისას მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები) არ არიან ვალდებულნი გადაიხადონ მოგების გადასახადი მიღებულ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით.

15%–იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდები მოგებაზე, რომელიც დაგროვებულია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, იბეგრება მოგების გადასახადით გაანგარიშებული მთლიან მაჩვენებლებზე, გამოკლებული საგადასახადო შეღავათი, რომელიც გამოთვლილია, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა – მთლიან წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა საგადასახადო შეთავათის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილ იქნა დივიდენდები. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდის შემდეგ, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა თანხებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ საწარმოებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო შეღავათის გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები .კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აისახება გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებიც ხელმძღვანელობის შეფასებით დიდი ალბათობით გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ ეს პოზიციები სადავო გახდება საგადასახადო ორგანოების მიერ. შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები ჯარიმებთან, პროცენტებთან და გადასახადებთან დაკავშირებით, მოგების გადასახადის გარდა, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აისახება მოგების გადასახადის ფარგლებში. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება პროცენტთან და ჯარიმებთან დაკავშირებით აისახება ფინანსურ ხარჯებში და სხვა მოგებაში / (ზარალი), წმინდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი. დარიცხული დღგ - გენერირებული ელექტროენერგიის გაყიდვა და გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ს გადახდისგან, პირდაპირი მომხმარებლისთვის მიწოდების გარდა, რომელიც იბეგრება 18%-ით და გადასახდელია იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგიდან: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოების მხრიდან დასაშვებია დღგ-ს გადახდა ნეტო საფუძველზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სასაქონლო-საწარმოო მარაგები. სასაქონლო–მატერიალური მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს და აუნაზღაურებად გადასახადებს და სატრანსპორტო, დამუშავების და საქონლის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. სასაქონლო მარაგების ხარჯი განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. წმინდა რეალიზაციის ღირებულება არის საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში სავარაუდო გასაყიდ ღირებულებას გამოკლებული დასრულებისა და რეალიზაციის ხარჯები.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აისახება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ავანსები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელის და მომსახურების შეძენის მოსალოდნელი ვადა დადგება ერთი წლის შემდეგ ან როდესაც აღნიშნული ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად არის კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდების თანხები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია იძენს აქტივზე კონტროლის უფლებას და როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. სხვა სახის წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როდესაც მიიღება ასეთ გადახდებთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება. თუ არსებობს მინიშნება, რომ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, შესაბამისად ჩამოიწერება წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში..

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მაგალითად ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და სხვა) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამდე, სანამ გაიცემა ნებართვა ფინანსური ანგარიშების გამოშვებაზე, ასახულია შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არაფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არის იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებული რესურსების გადინება, და შესაძლებელი იქნება ვალდებულების თანხა სარწმუნოდ შეფასება. რეზერვები გაანგარიშდება ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილ იქნას ვალდებულების დასაფარად დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების და ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დროთა განმავლობაში რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად..

მოსაკრებლები და გადასახადები, როგორიცაა გადასახადები, მოგების გადასახადის ან მარეგულირებელი მოსაკრებლების გარდა, იმ პერიოდთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლამდეც წარმოიშვა გადახდის ვალდებულება, აღიარებულია ვალდებულებებად, როდესაც დადგება სავალდებულო მოვლენა, რომელიც განაპირობებს მოსაკრებლების გადახდას, როგორც განისაზღვრება კანონმდებლობით მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების შესახებ. თუ მოსაკრებელი გადაიხდება სავალდებულო მოვლენამდე, ის აღიარდება წინასწარ გადახდად.

თუ კომპანია ვარაუდობს რეზერვის ანაზღაურებას, მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად ეჭვს არ იწვევს.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი წარმოიშობა კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობების პროცესში. შემოსავალია აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომელზეც კომპანია უფლებამოსილი იქნება კლიენტისთვის შეპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის უფლების გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით ინკასირებული თანხების გამოკლებით. შემოსავალი აღიარებულია დისკონტების, შემოსავლების და დამატებული ღირებულებების გადასახადების გარეშე.

ელექტროენერგიის გაყიდვა. ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღიარებულია გაყიდული ელექტროენერგიის აღრიცხული მოცულობის საფუძველზე და გამოითვლება სემეკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად. ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები განისაზღვრება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვა. გარანტირებული სიმძლავრიდან მიღებული შემოსავლები აღიარებულია იმ დღეების რაოდნეობის საფუძველზე, როდესაც სადგური მზად არის მიაწოდოს ელექტროენერგია დადგმული სიმძლავრით. დღიური ტარიფი გარანტირებული სიმძლავრისთვის განისაზღვრება სემეკის მიერ.

საწარმო გადასცემს კონტროლს დროთა განმავლობაში და შესაბამისად აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, შემოსავალი მომსახურებების გაწევიდან აღიარებულია სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურებები იქნა გაწეული. მომსახურებების გაწევა ხდება უწყვეტად მოცულობის შეფასების მეთოდის საფუძველზე (წარმოებული ელექტროენერგია).

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია თვლის, რომ არ გააფორმებს კონტრაქტებს იმ შემთხვევაში, თუ პერიოდი კლიენტისთვის შეპირებული საქონლის და მომსახურების გადაცემასა და კლიენტის მიერ გადახდას შორის აღემატება ერთ წელს. შედეგად გარიგების ფასები არ კორექტირდება ფულის დროით ღირებულებაზე.

საოპერაციო იჯარის შემოსავალი. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მეიჯარეს წარმოადგენს იმ ტიპის იჯარის შემთხვევაში, როდესაც მოიჯარისთვის არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა (ე.ი. საოპერაციო იჯარა) საიჯარო გადახდები საოპერაციო იჯარებიდან აღიარებულია სხვა შემოსავლად წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, სარგო, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი (როგორიცაა ჯანდაცვის მომსახურებები და საბავშვო ბაღები) დაირიცხება წლის განმავლობაში, რომელშიც გაწეულია დაკავშირებული მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანია არ გაწევს ხარჯებს საპენსიო ან სხვა ანაზღაურებას შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ თავისი თანამშრომლებისთვის.

ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გამოშვების შემდეგ. საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დამტკიცებას, რომელიც იძლევა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების გამოცემის ნებართვას

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობები მუდმივად კონტროლდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ მსჯელობების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე იყენებს სხვა მსჯელობებს. მსჯელობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება არის განსჯის საგანი მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შეტანილი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოიყენება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული ცვეთა და ამორტიზაცია, ხშირ შემთხვევაში იწვევს აქტივებშ შეტანილი ეკონომიკური სარგებელის შემცირებას. ხელმძღვანელო აფასებს დანარჩენ სასარგებლო გამოყენების ვადას აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობის და შეფასებული პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია, რომ აქტივი სარგებელს მოუტანს კომპანიას. გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა და ამორტიზაცია, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული ცვეთა, რომელიც წარმოიშობა საბაზრო პირობებში ცვლილებებიდან გამომდინარე.

თუ შეფასებული სასარგებლო გამოყენების ვადა 10% განსხვავდება ხელმძღვანელების შეფასებებისგან, ზემოქმედება ცვეთაზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გაიზრდებოდა 298 ათასი ლარით ან შემცირდებოდა 244 ათასი ლარით (2019 წ.: 622 ათასი ლარით ზრდა ან 509 ათასი ლარით შემცირება).

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. კომპანიის ძირითადი საშუალებები (PPE) მოიცავს კონკრეტულ აქტივებს, რომელიც უნდა გამოყენებულიყო დაკავშირებული მხარის, შპს C Power - ის პროექტის - გარდაბანში მშენებარე ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურისთვის ("C Power Project "). „C Power Project" დასრულება და წარმატებული ექსპლუატაცია მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული შპს „საქნახშირის" (GIG Holding მიერ საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანია) მიერ მოპოვებულ ნახშირზე .

2019 წლის სექტემბერში, შპს საქნახშირი გავიდა ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფიდან . შედეგად გარდაბნის მუნიციპალიტეტში 150 – 300 მგვტ სიმძლავრის ნახშირის თბოელექტოსადგურის მშენებლობა შეჩერდა. აღნიშნული მოვლენები განისაზღვრა შპს მტკვარი ენერჯის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორად 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის. გაუფასურების ტესტის შედეგი იყო გაუფასურების ზარალი 51,817 ათასი ლარის ოდენობით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შენიშვნა 9).

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი დაშვებები და ზემოქმედება აღნიშნულ დაშვებებში შესაძლო ცვლილებების მთლიან შეფასებებზე, ყველა სხვა ფიქსირებულ ცვლადთან ერთად, არის შემდეგი:

- ელექტროენერგიის ტარიფი და მოსალოდნელი შემოსავალი შეფასდა „რეგულირებული აქტივის ბაზის“ საფუძველზე, რომელიც სემეკ-ის განსაზღვრით შეადგენს 37,206 ათას ლარს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თუ აღნიშნული ღირებულება გაიზრდება / შემცირდება 10%-ით, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი თანხა 1,568 ათასი ლარით მაღალი / დაბალი იქნება.
- კაპიტალის ღირებულების შეწონილი საშუალო ითვლება 13.89%-ად. თუ ეს განაკვეთი გაიზრდება / შემცირდება 1 პროცენტული პუნქტით, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი თანხა იქნება 1,886 ათასი ლარით / 1,992 ათასი ლარით დაბალი / მაღალი.
- გაცვლითი კურსი 2025 წლის ბოლოს სავარაუდოდ იქნება: 1 აშშ დოლარი - 3 ლარი. თუ ეს განაკვეთი გაიზრდება / შემცირდება 10%-ით, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი თანხა იქნება 2,454 ათასი ლარით მაღალი / დაბალი.
- ნარჩენი ღირებულება 63,000 ათასი ლარი შეფასებულია “ENERGOPROJECKT-KATOWICE” SA.-ს მიერ. თუ ეს განაკვეთი გაიზრდება / შემცირდება 10%-ით, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი თანხა იქნება 2,454 ათასი ლარით მაღალი /ნაკლები.

6 ახალი და გადახედული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები ცვლილებები ფასს 16-ში, რომელიც გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის,რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან შემდეგ ცვლილებები ითვალისწინებს მოიჯარეების დახმარებას ოფციონური გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესია იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ საიჯარო კონცესიები იმ სახით, თითქოს ისინი არ წარმოადგენენ იჯარის მოდიფიკაციებს. პრაქტიკული მეთოდი გამოიყენება მხოლოდ საიჯარო კონცესიებზე, რომლებიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად. და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა: ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს გადახედულ მოსაზრებას იჯარასთან დაკავშირებით, რომელიც არსებითად იგივე ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე იჯარის მოსაზრებაზე; საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან ამ თარიღამდე გადასახდელ თანხებზე; და არ არსებობს არსებითი ცვლილება იჯარის პირობებსა და დებულებებში. ამ ცვლილების გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა კომპანიაზე.

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებული სტანდარტები, თუმცა არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიაზე:

- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემული 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ბიზნესის განსაზღვრება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შეძენებისთვის წლიური ანგარიშგების დაწყებიდან, რომელიც აითვლება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- არსებითობის განსაზღვრება – ცვლილებები ბასს 1-ში და ბასს 8-ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39 და ფასს 7-ში (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

7 გუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები

გამოიცა კონკრეტული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა კომპანიის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ და რომლებიც კომპანიას ადრე არ გამოუყენებია.

ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კაპიტალის დაბანდება - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ). აღნიშნული ცვლილებები ეხება შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ს მოთხოვნებს შორის ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან ან დაბანდებასთან დაკავშირებით..

აღნიშნული ცვლილებების მთავარი შედეგი არის ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნეს საქმიანობას. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარებულია როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნეს საქმიანობას, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7. ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ფასს 17 ცვლის ფასს 4–ს, რომელიც უფლებას აძლევს კომპანიებს განახორციელონ აღრიცხვა სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ეფექტურობის შედარება. ფასს 17 არის ერთიანი პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის გადაზღვევის ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის, რომლებსაც სადაზღვევო კომპანია ფლობს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით რისკის გათვალისწინებით (შესრულების ფულადი ნაკადები), რომელიც შეიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას აღნიშნული ფულადი ნაკადების შესახებ, რომელიც შეესაბამება სარწმუნო საბაზრო ინფორმაციას; პლუს (თუ აღნიშნული ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს გაუნაწილებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფებში (სახელშეკრულებო მომსახურებების ზღვარი). სადაზღვევო კომპანიები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ისინი უზრუნველყოფენ სადაზღვევო დაფარვას, და რისკის გარეშე. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი ასახავს ზარალს, კომპანია აღიარებს ზარალს დაუყოვნებლივ.

ცვლილებები ფასს 17-ში და ცვლილება ფასს 4-ში (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ცვლილებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელთა მიზანია ფასს 17 განხორციელება, სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნის გამარტივება და გადასვლა. ცვლილებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განსაზღვრული აღნიშნული სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (რომელიც მოიცავს ცვლილებებს) გადაიდო ორი წლით წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ასევე გადაიდო ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ამოღება:* საწარმოს მოეთხოვება გაანაწილოს შეძენის ხარჯების ნაწილი დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღიაროს აღნიშნული ხარჯები აქტივად სანამ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის დაბრუნების შესაძლებლობა თითოეულ ანგარიშგების დღეს და წარადგინოს კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- *საკონტრაქტო მომსახურების მარჟა საინვესტიციო მომსახურებებთან დაკავშირებით:* უნდა განისაზღვროს დაფარვის ერთეულები ბენეფიტების რაოდენობის და სადაზღვევო დაფარვის და საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის ცვლადი მოსაკრებლის მიდგომის გამოყენებით და სხვა კონტრაქტებისთვის საინვესტიციო შემოსავლის მომსახურებით საერთო მოდელის ფარგლებში. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იქნას როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო შეასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.

7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

- *გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს პირველი სადაზღვევო ხელშეკრულებების დამამძიმებელი ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დამამძიმებელი პირველადი კონტრაქტების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროსგადაზღვევის ხელშეკრულების დაკავშირებული ჯგუფის საკონტრაქტო მომსახურების მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან ანაზღაურებული ზარალის თანხა განისაზღვრება პირველად სადაზღვევო კონტრაქტებზე აღიარებული ზარალის და პირველად სადაზღვევო კონტრაქტებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლების გამრავლებით, რომელსაც საწარმო თვლის, რომ აანაზღაურებს გადაზღვევის კონტრაქტიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშნ, როდესაც გადაზღვევის კონტრაქტი აღიარებულია იმ თარიღამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია პირველად სადაზღვევო კონტრაქტებზე.
- *სხვა ცვლილებები:* სხვა ცვლილებები მოიცავს გამონაკლისებს ზოგ საკრედიტო გარათის (ან მსგავს) კონტრაქტებთან და ზოგ სესხის კონტრაქტებთან დაკავშირებით; სადაზღვევო კონტრაქტების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებას ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის კონტრაქტების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევას წინა შუალედურ ფინანსური ანგარიშგებებში განხორციელებულ შეფასებებში ცვლილების განხორციელებისთვის, ფასს 17-ის გამოყენებისას; მოგების გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანას, რომლებიც კონკრეტულად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო კონტრაქტის პირობების შესაბამისად ფულად ნაკადებში; და შერჩეული გადასვლის და სხვა მცირე ცვლილებებს.

კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიკაცია - ცვლილებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).აღნიშნული ვიწრო ფარგლების ცვლილებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის დასასრულს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს დაფარვის ვადა მინიმუმ თორმეტი თვით. აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპი აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოსაზრებები გამოიყენებენ თუ არა დაფარვის გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიან ვალდებულებას, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, კი თუ ამ პირობაზე უარი მოპოვებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ამის საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად იმ შემთხვევაში, თუ სესხის პირობა დაირღვევა მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა ცვლილებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას ვალთან დაკავშირებით, რომელიც კომპანიამ შესაძლოა დაფაროს მისი კაპიტალში გარდაქმნით. დაფარვა განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ფულით, სხვა ესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არის კონვერტირებადი ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა გარდაიქმნას კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, კომბინირებული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - ცვლილებები ბასს 1-ში გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები ბასს 1-ში ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაციაზე, გაიცა 2020 წლის იანვარში, ძალაში შესვლის თავდაპირველი თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა კოვიდ-19 პანდემიის გამო ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით შესწორებული სახელმძღვანელოს შედეგად გამოწვეული კლასიფიკაციის ცვლილებების განხორციელებისთვის. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსავლები დანიშნულებით გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტარქტის შესრულების ღირებულება, მითითება კონცეპტუალურ საფუძლებზე - ვიწრო სფეროს ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს-16-ში და ბასს 41-ში (გაცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ცვლილებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალების ერთეულის ღირებულებიდან დაქვითოს ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შემოსავლები ასეთი ერთეულებისი გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2 აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან არ არის მზად დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ცვლილებები ბასს 16-ში ასევე განმარტავს, რომ საწარმო ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი, როდესაც აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას.

აქტივის ფინანსური ეფექტურობა არ უკავშირდება ამ შეფასებას. შესაბამისად აქტივი შესაძლოა იყოს მოქმედი, როგორც განსაზღვრავს ხელმძღვანელობა და დაექვემდებაროს ცვეთას სანამ მიაღწევს საოპერაციო ეფექტურობას, როგორც მიიჩნევს ხელმძღვანელობა.

ცვლილება ბასს 37-ში განსაზღვრავს კონტრაქტის შესრულების ხარჯების მნიშვნელობას. ცვლილება განმარტავს, რომ კონტრაქტის შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს კონტრაქტის შესრულების მზარდ ხარჯებს და სხვა ხარჯების განაწილებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება შესრულებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ სანამ განისაზღვრება დამამძიმებელი კონტრაქტის ცალკე დებულება, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომელიც მიადგა კონტრაქტის შესრულებაში გამოყენებულ აქტივს, და არა აღნიშნული კონტრაქტისთვის განკუთვნილ აქტივებს.

ფასს 3 შეიცვალა „2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების“ მითითებით იმის განსაზღვრისთვის რას მოიცავს აქტივი ან ვალდებულება ბიზნეს გაერთიანებაში. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეხებოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს“. გარდა ამისა ფასს 3 დაემატა ახალი გამონაკლისი ვალდებულებებთან და პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით. გამონაკლისი მიუთითებს, რომ კონკრეტული სახის ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის საწარმომ, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფაისკ 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, ნებისმიერი საწარმო ზოგი ვალდებულების აღიარებას მოახდენდა ბიზნეს გაერთიანებაში, რომელიც არ აღიარდება ბასს 37-ის მიხედვით. აქედან გამომდინარე შეძენისთანავე საწარმომ უნდა შეწყვიტოს ასეთი ვალდებულებების აღიარება და აღიაროს მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებულ იქნა, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

ცვლილებები ფასს 9-ში ეხება რომელი მოსაკრებლები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარებსი შეწყვეტისთვის. მოსაკრებლები ან ხარჯები შეიძლება გადაეხადოს მესამე მხარეებს ან კრედიტორებს. ცვლილების ფარგლებში, მესამე მხარეებისთვის გადახდილი მოსაკრებლები ან ხარჯები არ იქნება შეტანილი 10% ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, შეიცვალა, ამოღებული იქნა გადახდების გამოსახულება მეიჯარისგან, საიჯარო ქონების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. ამოღების მიზეზია პოტენციური დაბნეულობის ამოღება საიჯარო შეღავათების განსაზღვრაში..

ფასს 1 ითვალისწინებს შეღავათს თუ შვილობილი კომპანია მიიღებს ფასს-ს თავის მშობელ კომპანიაზე გვიან. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნება მისი მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ არანაირი კორექტირება არ გაკეთებულა კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შეიცვალა და ითვალისწინებს საწარმოებისთვის, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 ასევე შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები მშბელი კომპანიის გაცხადებული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ცვლილება ფასს 1-ში ვრცელდება დარიცხულ საკურსო სხვაობებზე ხარჯების შესამცირებლად მათთვის, რომლებმაც პირველად მიიღეს აღნიშნული . ცვლილება ასევე ვრცელდება მეკავშირე საწარმოებზე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

მოთხოვნა საწარმოებისთვის, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გასს 41-ის შესაბამისად, ამორებულია. ამ ცვლილების მიზანია აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისობა სტანდარტში დისკონტირებულ ფულად ნაკადებთან დაბეგვრის შემდეგ. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე..

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთების (IBOR) რეფორმირება - ფაზა 2 ცვლილებები ცვლილებები ფასს 9, გასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 (გამოცემული 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფაზა 2 ცვლილებები არეგულირებს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელებიდან, მათ შორის ერთი კრიტერიუმის შეცვლა ალტერნატივით. ცვლილებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების აღრიცხვა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების განსაზღვრაში IBOR რეფორმის შედეგად: ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, ცვლილებები მოითხოვს საწარმომ, პრაქტიკული წესით, აღრიცხოს ცვლილება IBOR რეფორმის შედეგად საკონტრაქტო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, სახელმძღვანელოს გამოყენებით ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფებში. შედეგად უშუალო მოგება ან ზარალი არ არის აღიარებული. აღნიშნული პრაქტიკული წესი გამოიყენება მხოლოდ საჭირო ცვლილებაზე და ფარგლებში, IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგის სახით, და ახალი საფუძველი წინა საფუძველის ეკონომიკურად ექვივალენტურია. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ დროებით გათავისუფლების უფლებას ფასს 9-დან, მოეთხოვებათ გამოიყენონ აღნიშნული პრაქტიკული მეთოდი. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოითხოვს მოიჯარეებმა გამოიყენონ მსგავსი პრაქტიკული მეთოდი იჯარის მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის IBOR რეფორმის შედეგად მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს.

7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

- 1-ელი ფაზის ბოლო დღე, ჰეჯირების ურთიერთობებში არასაკონტრაქტო განსაზღვრული რისკის კომპონენტების შეღავათებთან დაკავშირებით: 2 ფაზის ცვლილებები მოითხოვს საწარმომ მომავალში შეწყვიტოს 1 ფაზის შეღავათების გამოყენება არასაკონტრაქტო განსაზღვრული რისკის კომპონენტზე როდესაც ცვლილებები განხორციელდება არასაკონტრაქტო განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც შეწყდება ჰეჯირების ურთიერთობები, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება. რისკის კომპონენტებთან დაკავშირებით 1 ფაზის ცვლილებებში ბოლო თარიღი არ იყო გათვალისწინებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების სააღრიცხვო მოთხოვნების გამოყენებიდან: 2 ფაზის ცვლილებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან, ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომლებზეც პირდაპირი ზემოქმედება მოახდინა IBOR რეფორმამ.
- დამატებითი ფასს 7 ინფორმაცია IBOR რეფორმასთან დაკავშირებით: ცვლილებები მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის მიმდინარეობას და რისკებს, რომლებიც წარმოიშობა გადასვლისი შედეგად; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან ახალ სტანდარტზე, დაყოფილია მნიშვნელოვანი საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთით; და (iii) IBOR რეფორმსი შედეგად რისკის მართვის სტრატეგიაში ნებისმიერი ცვლილების აღწერა. .

კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის ანგარიშგებაში 2: სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 1 შესწორდა და მოითხოვს კომპანიებმა გაამჟღავნონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. ცვლილება ითვალისწინებდა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის განსაზღვრებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია იმ შემთხვევაში, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლები ვერ შეძლებდნენ სხვა არსებითი ინფორმაციის გაგებას ფინანსურ ანგარიშგებებში. ცვლილება ითვალისწინებდა ილუსტრაციულ მაგალითებს სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის შესახებ, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს არსებითად საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში. გარდა ამისა ცვლილება ბასს 1-ში განმარტავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის არა-არსებითი ინფორმაციის გამჟღავნება არ არის საჭირო. თუმცა მისი გამჟღავნების შემთხვევაში, გაურკვეველი არ უნდა გახდეს სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ინფორმაცია. ამ ცვლილების დასაბუთებისთვის, ფასს პრაქტიკის ანგარიშგება 2 „არსებითობის შეფასება“ ასევე შესწორდა სახელმძღვანელო მითითებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციებზე არსებითობის კონცეფციის გამოყენების წესის შესახებ. ამჟამად კომპანია აფსებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 8-ში: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გაცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ცვლილებები ბასს 8-ში განმარტავს როგორ უნდა განასხვავოს კომპანიებმა ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებებისგან სააღრიცხვო შეფასებებში. ამჟამად კომპანია აფსებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე..

თუ სხვაგვარად არ არის ზემოთ აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

8 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები წარმოდგენილია საერთო კონტროლის ქვეშ, ან თუ ერთ–ერთ მხარეს შეუძლია აკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან გამოიყენოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებულ მხარესთან თითოეული შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას, არამედ ურთიერთობის არსს..

2020 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო დებიტორული დავალიანებების	-	993	166	**1,159**
მთლიანი თანხა	81	9,087	-	**9,168**
გაცემული სესხები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	56	-	**56**

2019 წლის 23 აგვისტოს კომპანიამ გასცა 2,000 ათასი საკრედიტო ხაზი შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე, 11% წლიური საპროცენტო განაკვეთით, დაფარვის ვადა 2020 წლის 23 აგვისტო. 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა დამატებით 6.610 ათასი ლარი შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე რამდენიმე ტრანშად. განახლებული დაფარვის თარიღი არის 2021 წლის 31 დეკემბერი.

შემოსავლის და ხარჯის მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის იყო შემდეგი:

ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
საპროცენტო შემოსავალი	5	469	-	**474**
იჯარის შემოსავალი	-	133	-	**133**
შემოსავალი ხარჯების გამოკლებით სათადარიგო ნაწილების, მასალების და ჯართის გაყიდვა / გასხვისებიდან.	-	167	-	**167**
შემოსავალი ხარჯების გამოკლებით ძირითადი საშუალებების გაყიდვა / გასხვისებიდან.	-	11	-	**11**
ელექტროენერგიის გენერაციის ხარჯები	-	(106)	-	**(106)**
საოპერაციო იჯარის ხარჯი ძირითად საშუალებებზე	-	(40)	-	**(40)**
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	-	(760)	-	**(760)**
საკონსულტაციო ხარჯები	-	(1,222)	-	**(1,222)**
სადაზღვევო ხარჯი	-		(1,030)	**(1,030)**
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	-	(3)	-	**(3)**

8. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი::

ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო დებიტორული დავალიანებების	-	524	192	**716**
მთლიანი თანხა	60	2,009	-	**2,069**
გაცემული სესხები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	19	-	**19**

შემოსავლის და ხარჯის მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის იყო შემდეგი:

ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
საპროცენტო შემოსავალი	5	-	-	**5**
საოპერაციო იჯარის შემოსავალი,				
ტექნიკური წყლის გაყიდვა და		303	-	**303**
საპროცენტო შემოსავალი	-	(185)	-	**(185)**
ელექტროენერგიის გენერაციის ხარჯები	-	-	(1,117)	**(1,117)**
სადაზღვევო ხარჯი				
საოპერაციო იჯარის ხარჯი ძირითად საშუალებებზე	-	(36)	-	**(36)**
რემონტის და ტექნიკური მომსახურების				
ხარჯები	-	(1,826)	-	**(1,826)**
საკონსულტაციო ხარჯები	-	(1,200)	-	**(1,200)**
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინ	-	4	-	**4**

დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით სხვა უფლებები და ვალდებულებები არ არის წარმოდგენილი.

ძირითადი ხელმძღვანელობის კომპენსაცია. ძირითად ხელმძღვანელობაში შედის გენერალური დირექტორი და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2020 წელს ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალის ანაზღაურება, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიან ხელფასებსა და ბონუსებს, შეადგენდა 286 ათას ლარს. (2019 წელს: 261 ათას ლარს).

ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალის მიმართ არანაირი ვალდებულება და პირობითი ვალდებულება არ არსებობს.

9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათას ლარში	მიწა	შენობები	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	გაყვანილობები და ფიტინგები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	არმატურა და ფიტინგები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება								
2019 წლის 1 იანვარს	**5,931**	**24,572**	**52,992**	**9,347**	**25,886**	**363**	**1,381**	**120,472**
დამატებები	-	17	-	-	77	40	-	134
გასხვისებები	-	-	-	-	(5)	(1)	-	(6)
2019 წლის 31 დეკემბერს	**5,931**	**24,589**	**52,992**	**9,347**	**25,958**	**402**	**1,381**	**120,600**
დამატებები	-	-	-	-	31	64	-	95
გასხვისებები					(7)	-	(215)	(222)
2020 წლის 31 დეკემბერს	**5,931**	**24,589**	**52,992**	**9,347**	**25,982**	**466**	**1,166**	**120,473**
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება								
2019 წლის 1 იანვარს	**-**	**(1,865)**	**(4,068)**	**(1,118)**	**(4,587)**	**(115)**	**(304)**	**(12,057)**
ცვეთის დარიცხვა	-	(863)	(1,882)	(517)	(2,167)	(69)	(90)	(5,588)
გასხვისებები	-	-	-	-	5	1	-	6
გაუფასურების დარიცხვა	-	(11,855)	(25,510)	(4,182)	(10,270)	-	-	(51,817)
2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(14,583)**	**(31,460)**	**(5,817)**	**(17,019)**	**(183)**	**(394)**	**(69,456)**
გაუფასურების დარიცხვა	-	(395)	(861)	(236)	(1,031)	(80)	(86)	(2,689)
გასხვისებები	-	-	-	-	4	-	44	48
2020 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(14,978)**	**(32,321)**	**(6,053)**	**(18,046)**	**(263)**	**(436)**	**(72,097)**
საბალანსო ღირებულება								
2019 წლის 1 იანვარს	5,931	22,707	48,924	8,229	21,299	248	1,077	108,415
2019 წლის 31 დეკემბერს	5,931	10,006	21,532	3,530	8,939	219	987	51,144
2020 წლის 31 დეკემბერს	**5,931**	**9,611**	**20,671**	**3,294**	**7,936**	**203**	**730**	**48,376**

ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 47,973 ათას ალრს (2019 წლის 31 დეკემბერს: 50,653 ათას ლარს) დაგირავდა უზრუნველყოფის სახით სს თიბისი ბანკის კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებით (იხილეთ შენიშვნა 15).

2019 წელს შპს საქნახშირის წილის რეალიზაციამ და შედეგად გარდაბანში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის პროექტის შეჩერებამ წარმოქმნა გაუფასურების ინდიკატორები. გაუფასურების ტესტის შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ხარჯი შეადგენდა 51,817 ათას ლარს.

10 სასაქონლო-საწარმოო მარაგები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალა	6,697	6,573
ჯართი და სხვა მასალები	35	35
სულ მარაგები	**6,732**	**6,608**

11 გაცემული სესხები

ათას ლარში	Rate	2020	2019
მიმდინარე დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	10%-11%	9,168	2,069
მინუს: საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯი მოგება ზარალში		-	-
სულ გაცემული სესხები AC-ით		**9,168**	**2,069**

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხბი მოიცავს შემდეგს: 1) 2017 წლის 20 ივლისს გაცემული სესხები შპს Chemexim International-თვის - 42 ათასი ლარი და 2) 2019 წლის 23 აგვის ტოს გაცემული სესხები შპს Georgian International Energy Corporation-თვის - 8,859 ათასი ლარი. იხილეთ შენიშვნა 8 დამატებითი დეტალებისთვის.

12 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	18,407	22,743
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ფარგლებში.	**18,407**	**22,743**
ავანსები თანამშრომლებზე	3	3
წინასწარი გადახდები	494	578
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	**18,904**	**23,324**

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები არ მოიცავს პროცენტს და ზოგადად გააჩნიათ 30 დღიანი ვადა.

საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის განისაზღვრება ცხრილში წარმოდგენილი მატრიცის შესაბამისად. მატრიცა ეფუძნება დღეების რაოდენობას, როდესაც აქტივი გადავადებულია, პროგნოზული ინფორმაციის კორექტირებები არ მოითხოვება.

	31 დეკემბერი 2020				31 დეკემბერი 2019			
ათას ლარში	ზარალის კოეფიციენტი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გამოყ. ვადაში ECL	წმინდა საბალანსო ღირებულება	ზარალის კოეფიციენტი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გამოყ. ვადაში ECL	წმინდა საბალანსო ღირებულება
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები				**18,407**				**22,743**
- მიმდინარე	0%	18,407	-		0%	22,743	-	
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	0%	-	-		0%	0	-	
- 30 -დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული.	0%	-	-		0%	0	-	
- 91 -დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	0%	-	-		0%	0	-	
- 181 -დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	0%	-	-		0%	0	-	
- 360 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	0%	-	-		0%	0	-	
სულ	-	**18,407**	**0**	**18,407**	-	**22,743**	-	**22,743**

13 ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო ნაშთები, გადასახდელი მოთხოვნისას	1,280	2,063
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**1,280**	**2,063**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფულის და ფულის ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის კატეგორიების საფუძველზე 2020 წლის 31 დეკემბერს. იხილეთ შენიშვნა 24 კომპანიის საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის აღწერილობისთვის.

ათას ლარში	საბანკო ნაშთები, გადასახდელი მოთხოვნისას	ვადიანი დეპოზიტები	სულ
- საუკეთესო	19	-	**19**
- კარგი	1,261	-	**1,261**
სულ ფული და ფულის ექვივალენტები, სალაროს ნაღდი ფულის გარდა	**1,280**	-	**1,280**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფულის და ფულის ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის კატეგორიების საფუძველზე 2019 წლის 31 დეკემბერს. იხილეთ შენიშვნა 24 კომპანიის საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის აღწერილობისთვის..

ათას ლარში	საბანკო ნაშთები, გადასახდელი მოთხოვნისას	ვადიანი დეპოზიტები	სულ
- საუკეთესო	17	-	**17**
- კარგი	2,046	-	**2,046**
სულ ფული და ფულის ექვივალენტები, სალაროს ნაღდი ფულის გარდა	**2,063**	-	**2,063**

14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 100% ფლობს შპს Georgian Industrial Group Holding. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10,377 ათას ლარს.

15 სესხები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი		
სს თიბისი ბანკი	12,875	14,065
სულ გრძელვადიანი სესხები	**12,875**	**14,065**
მიმდინარე		
სს თიბისი ბანკი	6,212	5,625
სულ მიმდინარე სესხები	**6,212**	**5,625**
სულ სესხები	**19,087**	**19,690**

15 სესხები (გაგრძელება)

კომპანიის სესხები დენომინირებულია ვალუტებში შემდეგნაირად:

ათას ლარში	2020	2019
სესხები დენომინირებული:		
- ლარში	3,000	3,000
- აშშ დოლარში	16,087	16,690
სულ სესხები	**19,087**	**19,690**

სესხები თიბისი ბანკიდან:

3,000 ათასი ლარის საკრედიტო ხაზი კომპანიამ მიიღო 2019 წლის 31 ოქტომბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთით: 4.75% + სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი, დაფარვის ვადა: 2020 წლის 7 თებერვალი; გადასახდელი ყოველთვიურად. ეს ხელშეკრულება შესწორდა 2020 წლის 30 ნოემბერს. ცვლილების შესაბამისად შეთანხმებული იქნა ახალი დაფარვის თარიღი - 2021 წლის 15 აპრილი. იხილეთ შენიშვნა 28 საკრედიტო პირობებში განხორციელებულ შემდგომი შესწორებებისთვის.

6,900 ათასი აშშ დოლარის სესხი კომპანიამ მიიღო 2018 წლის 29 ივნისს, წლიური საპროცენტო განაკვეთით: 5.5%+6 თვიანი LIBOR, დაფარვის ვადა: 2025 წლის 29 ივნისი, გადასახდელი ყოველთვიურად. იხილეთ შენიშვნა 28 საკრედიტო პირობებში განხორციელებულ შემდგომი შესწორებებისთვის.

კომპანია არ ახდენს ჰეჯირების აღრიცხვას თავის უცხოურ ვალუტაში ვალდებულებებთან ან საპროცენტო განაკვეთების რისკებთან დაკავშირებით. სესხების საბალანსო ღირებულებები და სამართლიანი ღირებულებები არის შემდეგი:

	საბალანსო ღირებულებები		სამართლიანი ღირებულებები	
ათას ლარში	2020	2019	2020	2019
ვადიანი სესხები	16,087	16,090	16,087	16,090
საკრედიტო ხაზი	3,000	3,000	3,000	3,000
სულ სესხები 31 დეკემბერს	**19,087**	**19,690**	**19,087**	**19,690**

მიმდინარე სესხების სამართლიანი ღირებულება შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებას, შესაბამისად დისკონტირების ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ არის. სამართლიანი ღირებულებები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება შემდეგ სასესხო განაკვეთებს 5.75% - 13.25% (2019: 7.4%-13.25%) და მოქცეულია სამართლიანი ღირებულებსი იერარქიის 2 დონის ფარგლებში.

ფინანსური საქმიანობებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებების ანალიზი ფინანსური საქმიანობებიდან და მოძრაობები კომპანიის ვალდებულებებში ფინანსური საქმიანობებიდან თითოეული პერიოდისთვის. აღნიშნული ვალდებულებების მუხლები ასახულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში

ათას ლარში	2020	2019
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 1 იანვარს	**19,690**	**19,971**
დანამატები	14,964	15,653
დარიცხული პროცენტი	1,230	1,478
გადახდილი ძირი თანხა	(17,782)	(17,117)
გადახდილი პროცენტი	(1,246)	(1,483)
საკურსო სხვაობა	2,231	1,188
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 31 დეკემბერს	**19,087**	**19,690**

16 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	15,048	21,448
სულ ფინანსური დავალიანებები სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ფარგლებში	***15,048***	***21,448***
მომხმარებლის წინასწარი გადახდები	-	4
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	**15,048**	**21,452**

17 შემოსავლები

კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან შემოსავლების დაყოფა კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად:

ათას ლარში	2020	2019
მოცემულ პერიოდში შესრულებული ვალდებულებები		
- შემოსავლები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	43,999	99,609
- შემოსავლები გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების გაწევიდან	21,343	21,208
სულ შემოსავლები	**65,342**	**120,817**

2020 წელს ელექტროენერგიის გაყიდვიდან შემოსავალი შემცირდა ძირითადად საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან დაბალი ენერგოგენერაციის მოთხოვნების გამო.

18 რეალიზაციის ხარჯები

ათას ლარში	2020	2019
გაზის შესყიდვის ხარჯი	43,590	100,807
პესონალის ხარჯები	3,474	3,581
ცვეთა და ამორტიზაცია	2,358	4,866
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	1,171	2,862
სადაზღვევო ხარჯები	1,019	1,105
კომუნალური მომსახურებები	616	392
სემეკის და სხვა მარეგულირებელი მოსაკრებლები	358	468
მასალების და გამოყენებული სახარჯი მასალების ხარჯი	250	484
უსაფრთხოების სამსახურის ხარჯები	171	171
ტრანსპორტირების და საავტომობილო ხარჯები	132	127
საოპერაციო იჯარის ხარჯი	38	38
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	26	69
სხვა	193	252
სულ რეალიზაციის ხარჯი	**53,396**	**115,222**

19 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ლარში	2020	2019
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები*	1,365	1,385
პესონალის ხარჯები	777	866
ცვეთა და ამორტიზაცია	341	722
სადაზღვევო ხარჯები	100	97
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	40	23
ტრანსპორტირების და საავტომობილო ხარჯები	33	37
წარმომადგენლობითი ხარჯები	27	-
კომუნალური მომსახურებები	19	30
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	19	19
საოპერაციო იჯარის ხარჯები	5	4
სხვა	57	57
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2,783**	**3,240**

(*)პროფესიული მომსახურების საფასური შეადგენს 74 ათას ლარს - რომელიც გაწეულია აუდიტორის / აუდიტური ფირმის მიერ შესრულებული აუდიტური და სხვა პროფესიული მომსახურებებისთვის, როგორც განსაზღვრავს საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ. (2019 წელს: 87 ათასი).

20 სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა

ათას ლარში	2020	2019
საიჯარო შემოსავალი	252	220
შემოსავლები მასალების გასხვისებიდან	179	139
მისაღები თანხების / ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა.	87	-
შემოსავალი PPE ავტომობილის გასხვისებიდან	11	-
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(660)	(998)
საქველმოქმედო და სპონსოროზის ხარჯები	(28)	(9)
ჯარიმის ხარჯები	-	(1)
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	-	164
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	**(159)**	**(485)**

21 ფინანსური შემოსავალი

ათას ლარში	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	500	31
სულ ფინანსური შემოსავალი	**500**	**31**

22 ფინანსური ხარჯი

ათას ლარში	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	1,230	1,478
საბანკო საკომისიოები და მოსაკრებლები	23	4
საკურსო ზარალი, წმინდა	2,219	1,201
სულ ფინანსური ხარჯები	**3,472**	**2,683**

23 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით და სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებით, რომელიც ხასიათდება ხშირი ცვლილებებით. 2017 წლიდან ასევე მიღებულია იურიდიული პირების მოგების გადასახადის ახალი რეჟიმი, რომლის მიზანია კომპანიების მოგების დაბეგვრის გამარტივება. თუმცა, იმის გამო რომ მოგების გადასახდში ცვლილებები ახალია, კვლავ რჩება გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზი და გაუგებრობები.

შედეგად საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შესაძლო ზოგჯერ ბუნდოვანი იყოს და იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციების შესაძლებლობას. გადასახადები ექვემდებარება საგადასახადო ორგანოების მხრიდან გადახედვას და შემოწმებას და საგადასახადო ვალდებულებების შემცირებამ შესაძლოა განაპირობოს მკაცრი სანქციები, ჯარიმები და პროცენტების დარიცხვა. საგადასახადო წელი მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში რჩება ღია, საგადასხადო ორგანოების მიერ შემოწმების მიზნით, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, საგადასახადო წელი შესაძლებელია ღიად დარჩეს უფრო დიდი ხნის განმავლობაშიც.

აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების და დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად. თუმცა საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული იყოს და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანოები გამოიყენებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

დაგირავებული და დატვირთული აქტივები.კომპანიას დაგირავებული აქვს ქვემოთ მითითებული აქტივები უზრუნველყოფის სახით სს თიბისი ბანკის სესხებისა და კრედიტებისთვის:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ათას ლარში			
ძირითადი საშუალებები		47,972	50,653
არამატერიალური აქტივები		35	44
სულ დაგირავებული აქტივები		**48,007**	**50,697**

გარანტიები. გარანტიები არის გამოუხმობი გარანტიები, რომ კომპანია განახორციელებს გადახდებს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება. კომპანიის გარანტია უკავშირდება შპს „საქნახშირის' 5,000 აშშ დოლარის სესხს სს თიბისი ბანკიდან.

ვალდებულებების შესრულება. კომპანიას გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სს თიბისი ბანკის სესხებთან. ასეთი ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა განაპირობოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის, მათ შორის, სესხის ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. კომპანიას არ დაურღვევია ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, 2020 წლის 31 დეკემბერს კომპანიას სს თიბისი ბანკისგან მიღებული აქვს კომფორტის წერილი აღიშნული ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით ბანკის მოთხოვნებზე და უფლებებზე.

23. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ეკოლოგიური საკითხები. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება საქართველოში განვითარების პროცესშია და რეგულარულად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციების გადახედვა. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს, რომელიც გათვალისწინებულია გარესმოდაცვით კანონმდებლობაში. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე უნდა იქნას აღიარებული. შეუძლებელია პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას არსებულ კანონმდებლობაში, სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებსა და წესებში გახორციელებული ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით..

24 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და ფასთან დაკავშირებული სხვა რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი მიზანია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკისადმი დაქვემდებარებულობა შენარჩუნდეს აღნიშნულ ფარგლებში. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვა განკუთვნილია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისი წესით გახორციელების უზრუნველსაყოფად, საოპერაციო და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ერთი მხარე მიაყენებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქტების გაყიდვის შედეგად საკრედიტო პირობების და სხვა სახის გარიგებების საფუძველზე მეორე მხარეებთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში..

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი არის უდიდესი რისკი კომპანიის საქმიანობისთვის; აქედან გამომდინარე ხელმძღვანელობა სიფრთხილით ეკიდება საკრედიტო რისკის მართვის საკითხს.

საკრედიტო რისკის შეფასება რიკის მართვის მიზნებისთვის არის კომპლექსური და მოიცავს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის მიხედვით. საკრედიტო რისკის შეფასება აქტივების პორტფელისთვის ითვალისწინებს დეფოლტის დადგომის ალბათობის, ასოცირებული ზარალის კოეფიციენტების და დეფოლტის კორელაციის შემდგომ შეფასებებს კონტრაგენტებს შორის.

ლიმიტები. კომპანია ადგენს საკრედიტო რისკის დონეებს (რომელსაც ის იღებს) ლიმიტების დაწესებით კონტრაგენტებისთვის ან კონტრაგენტების ჯგუფებისთვის და გეოგრაფიული და სამრეწველო სეგმენტებისთვის მისაღები რისკის მოცულობაზე. ლიმიტებს საკრედიტო რისკის დონეზე რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ასეთი რისკები რეგულარულად კონტროლდება სასურსათო და სამრეწველო სექტორის მიერ და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო ლიმიტს აანალიზებს და ამტკიცებს ხელმძღვანელობა. საკრედიტო რისკისმონიტორინგის მიზნით სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე მზადდება რეგულარული ანგარიშები, რომლებიც ორიენტირებულია კლიენტის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შედეგებზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედების შესახებ გაუარესებული გადახდისუნარიანობის მქონე კლიენტებთან ეცნობება ხელმძღვანელობას და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაგენტების საქმიანობას და აკონტროლებს გადავადებულ ნაშთებს.

საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემა. საკრედიტო რისკის შეფასება და ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საკრედიტო რისკის მოცულობის მიხედვით, კომპანია იყენებს მიდგომას, რომელიც ეფუძნება დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's – "S&P", Fitch, Moody's) მიერ შეფასებულ რისკის კატეგორიებს. შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები ასახულია შიდა განსაზღვრული მასშტაბის საფუძველზე დეფოლტის ალბათობების განსაზღვრული დიაპაზონით, როგორც აღწერილია ქვემოთ ცხრილში:

ძირ. მასშ. საკრედიტო რისკის კატ.	გარე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების შესაბამისი რეიტინგები (S&P)	შესაბამისი PD ინტერვალი
საუკეთესო	AAA to BB+	0,01% – 0,5%
კარგი	BB to B+	0,51% – 3%
დამაკმაყოფილებელი	B, B-	3% – 10%
სპეციალური მონიტორინგი	CCC+ to CC-	10% – 99,9%
დეფოლტი	C, D-I, D-II	100%

თითოეული ძირითად მასშტაბის საკრედიტო რისკის კატეგორია ენიჭება კონკრეტულ გადახდისუნარიანობის კატეგორიას:

- საუკეთესო – ძლიერი საკრედიტო ხარისხი დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- კარგი – ადეკვატური საკრედიტო ხარისხი ზომიერი საკრედიტო რისკით;
- დამაკმაყოფილებელი – ზომიერი საკრედიტო ხარისხი დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რისკით; და
- სპეციალური მონიტორინგი – ობიექტები, რომლებიც მოითხოვს მჭიდრო მონიტორინგს და გამოსწორებით მართვას; და
- დეფოლტი – ობიექტები, სადაც ადგილი ჰქონდა დეფოლტს.

გარე რეიტინგები ენიჭება კონტრაგენტებს დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ, როგორიცაა S&P, Moody's და Fitch. აღნიშნული რეიტინგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე აქტივების კლასის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები		
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (შენიშვნა12)	18,407	22,743
სესხების გაცემა (შენიშვნა 11)	9,168	2,069
ფული და ფულის ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები გადასახდელი მოთხოვნისას (შენიშვნა13)	1,280	2,063
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე	**28,855**	**26,875**

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას შეზღუდვების დაწესებით მიღებული რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც უკავშირდება მეორე მხარეებს ან მეორე მხარეთა ჯგუფებს. საკრედიტო რისკების დონეზე შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ასეთი რისკების მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადაგაცილებული დებიტორული დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და ასევე თვალყურს ადევნებს ვადაგაცილებული ნაშთებს. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა შესაბამისად თვლის ვადიანობისა და სხვა ინფორმაციის მიწოდებას საკრედიტო რისკთან დაკავშირებით, როგორც ეს წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში..

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციებს. 2020 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მსხვილი კლიენტები მოიცავდა 3 კონტრაგენტს (2019 წ. 31 დეკემბერს: 3 კონტრაგენტი). ნაშთი შეადგენდა 17,639 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბერს: 22,532 ათას ლარს ან 93% (2019 წლის 31 დეკემბერს: 97%) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მთლიანი თანხიდან

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში და (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

საბაზრო რისკებისადმი დამოკიდებულებები ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, მაშინ როცა ყველა სხვა ფაქტორი რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილებაც შესაძლებელია დარეგულირდეს – მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და უცხოური ვალუტის კურსში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტასთან დაკავშირებით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით::

	31 დეკემბერს 2020		
ათას ლარში	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	28,500	(18,044)	10,456
აშშ დოლარი	274	(16,091)	(15,817)
ევრო	81	-	81
სულ	**28,855**	**(34,135)**	**(5,280)**

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ცხრილში შეჯამებულია კომპანიის გაცვლითი კურსის რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31 დეკემბერს 2019		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ათას ლარში			
ლარი	26,770	(24,448)	2,322
აშშ დოლარი	45	(16,690)	(16,645)
ევრო	60	-	60
სულ	**26,875**	**(41,138)**	**(14,263)**

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები კაპიტალში და არაფულადი აქტივები არ ითვლება, რომ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მოგების და ზარალის და ასევე კაპიტალის მგრძნობელობა შესაძლო ცვლილებების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ვალუტის გაცვლით კურსში, კომპანიის საწარმოების ფუნქციონალურ ვალუტასთან დაკავშირებით, ხოლო ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებლები უცვლელი რჩება.

	2020	2019
ათას ლარში		
აშშ დოლარი გამყარდა 20%–ით	(3,163)	(3,329)
აშშ დოლარი შესუსტდა 20%–ით	3,163	3,329
ევრო გამყარდა 20%–ით	16	12
ევრო შესუსტდა 20% –ით	(16)	(12)

რისკი გამოითვალა მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც დენომინირებულია კომპანიის საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია იღებს რისკს, რომელიც დაკავშირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ზემოქმედებასთან მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის დაქვემდებარებულობა საპროცენტო განაკვეთის რისკების მიმართ. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საერთო თანხები საბალანსო ღირებულებით, რომელიც იყოფა საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთის გადახედვის ან დაფარვის ვადების მიხედვით, იქედან გამომდინარე, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება..

	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ათას ლარში						
31 დეკემბერი 2020						
სულ ფინანსური აქტივები	19,687	-	9,168	-	-	**28,855**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(15,436)	(4,753)	(1,071)	(12,875)	-	**(34,135)**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობის სხვაობა 2020 წლის 31 დეკემბერს	**4,251**	**(4,753)**	**8,097**	**(12,875)**	**-**	**(5,280)**

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი ოდენობა, საბალანსო ღირებულებით, რომელიც იყოფა საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთის გადახედვის ან დაფარვის ვადების მიხედვით, იქედან გამომდინარე, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
ათას ლარში						
31 დეკემბერი 2019						
სულ ფინანსური აქტივები	24,806	-	2,069	-	-	**26,875**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(24,781)	(565)	(1,726)	(11,828)	(2,238)	**(41,138)**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობის სხვაობა 2019 წლის 31 დეკემბერს	**25**	**(565)**	**343**	**(11,828)**	**(2,238)**	**(14,263)**

თუ აღნიშნული თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთები იყო 100 საბაზისო პუნქტით დაბალი და ყველა სხვა ცვლადი დარჩა უცვლელი, მოგება წლის განმავლობაში იქნება 170 ათასი ლარით მაღალი, ძირითადად დაბალი საპროცენტო ხარჯის შედეგად ცვლებად საპროცენტო ვალდებულებებზე.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც საწარმოს შეექმნება სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად ამოწმებს მის ხელთარსებულ ფულად სახსრებს. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებისგან..

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები მათი სახელშეკრულებო, დარჩენილი დაფარვის ვადის მიხედვით. ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს შეთანხმებულ არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის ფინანსური იჯარის მთლიან ვალდებულებებს (მომავალი ფინანსური ხარჯების დაქვითვამდე). ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

თუ გადასახდელი თანხა არ იქნება ფიქსირებული, გამოყენებული თანხა განისაზღვრება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაყვანილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ათას ლარში						
ვალდებულებები						
სავაჭრო კრედიტორული	15,048	-	-	-	-	**15,048**
დავალიანებები (შენიშვნა16)	423	847	5,862	14,293	-	**21,425**
სესხები (შენიშვნა 15)						
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის მომავალი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები	**15,471**	**847**	**5,862**	**14,293**	**-**	**36,473**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ათას ლარში						
ვალდებულებები						
სავაჭრო კრედიტორული	21,448	-	-	-	-	**21,448**

დავალიანებები (შენიშვნა16)	3,382	762	2,567	14,313	2,287	23,311
სესხები (შენიშვნა 15)						
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის მომავალი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები	**24,830**	**762**	**2,567**	**14,313**	**2,287**	**44,759**

25 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია კომპანიას მიეცეს შესაძლებლობა მომავალშიც განაგრძოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ, მფლობელების და სხვა დაინტერესებული პირების შემოსავლით უზრუნველყოფისა და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნებისათვის კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დარეგულირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა შეასწოროს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდების თანხები, დაუბრუნოს შესამცირებლად. კაპიტალი აქციონერებს, ან გაყიდოს აქციები ვალის შესამცირებლად..

როგორც ამ დარგის სხვა კომპანიები, მოცემული კომპანია ახორციელებს კაპიტალის მონიტორინგს გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის საფუძველზე. აღნიშნული კოეფიციენტი გამოითვლება, როგორც წმინდა ვალი, რომელიც იყოფა საერთო კაპიტალზე. წმინდა ვალი გამოითვლება, როგორც საერთო სასესხო სახსრები (მათ შორის სესხები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები, როგორც ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. საერთო კაპიტალი გამოითვლება როგორც საკუთარი კაპიტალი, რომელიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, პლუს წმინდა ვალი.

25. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები იყო შემდეგი::

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სესხები	19,087	19,690
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	15,048	21,448
მინუს: ფული და ფულის ექვივალენტები	(1,280)	(2,063)
წმინდა ვალი	**32,855**	**39,075**
სულ საკუთარი კაპიტალი	50,773	44,741
სულ კაპიტალი	**83,628**	**83,816**
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	**39%**	**47%**

26 ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ

სამართლიანი ღირებულების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით შემდეგნირად: (i) პირველ დონეზე განიხილება შეფასება კოტირებული ფასებით (შესწორებების გარეშე) იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე; (ii) მეორე დონეზე განიხილება შეფასებების მეთოდიკა აქტივების ან ვალდებულებისთვის არსებული ყველა მატერიალური ხარჯებით, პირდაპირ (ანუ როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ანუ გამოყვანილი ფასებიდან); და (iii) მესამე დონეზე განიხილება შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება სარწმუნო საბაზრო მონაცემებს (ანუ არასარწმუნო საწყისი მონაცემები). ხელმძღვანელობა განიხილავს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება სარწმუნო საწყისი მონაცემები, რომლებიც მოითხოვენ მნიშვნელოვან შესწორებას, ასეთი შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების საწყისი მონაცემის მნიშვნელობა შეფასებულია სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია. ქვემოთ მოყვანილია დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით

26 ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ (გაგრძელება)

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020			
	დონე 1 სამართლიანი ღირებულება	დონე 2 სამართლიანი ღირებულება	დონე 3 სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფული და ფულის ექვივალენტები	1,280	-	-	1,280
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	-	18,407	-	18,407
- გაცემული სესხები	-	9,168	-	9,168
სულ აქტივები	**1,280**	**27,575**	**-**	**28,855**
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები	-	15,048	-	15,048
- სესხები	-	19,087	-	19,087
სულ ვალდებულებები	**-**	**34,135**	**-**	**34,135**

ათას ლარში	31 დეკემბერი 2019			
	დონე 1 სამართლიანი ღირებულება	დონე 2 სამართლიანი ღირებულება	დონე 3 სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფული და ფულის ექვივალენტები	2,063	-	-	2,063
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	-	22,743	-	22,743
- გაცემული სესხები	-	2,069	-	2,069
სულ აქტივები	**2,063**	**24,812**	**-**	**26,875**
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები	-	21,448	-	21,448
- სესხები	-	19,690	-	19,690
სულ ვალდებულებები	**-**	**41,138**	**-**	**41,138**

26. ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებები მათი იერარქიის მე-2 და მე-3 დონეზე შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადის შეფასების მეთოდის გამოყენებით. მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლ ღირებულებად. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღება მოსალოდნელია დისკონტირებული სახით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი სარკრედიტო რისკით და დაფარვისთვის დარჩენილი ვადით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების საანგარიშო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სამომავლო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც მიიღება დისკონტირებული სახით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო

რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე..

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. დაფარვის დადგენილი ვადის მქონე, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების საანგარიშო სამართლიანი ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა საზომი კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის, ფასს 9-ის – "ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება"" – შესაბამისად ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (i) ისინი, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, (ii) ისინი, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომში სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და (iii) ისინი, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVPL). კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მოქცეულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ამორტიზირებული ღირებულების კატეგორიაში.

28. ანგარიშგების დასრულების შემდგომი მოვლენები

2021 წლის 4 იანვარს კომპანიამ შეასწორა სესხის ხელშეკრულებები სს თიბისი ბანკთან. შესწორებული პირობების შესაბამისად ვადიანი სესხის დაფარვის ვადა გაგრძელდა 2030 წლის 15 დეკემბრამდე, წლიური საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებული ნაწილით, რომელიც შეთანხმებულია 7.3%-ზე და საკრედიტო ხაზის დაფარვის ვადა გაგრძელდა 2021 წლის 15 ნოემბრამდე.

შპს მტკვარი ენერჯი
ხელმძღვანელობის ანგარიში
კომპანიის საქმიანობების მიმოხილვა, 2020 წ.

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შ.პ.ს. ,,მტკვარი ენერჯი" („კომპანია"), საიდენტიფიკაციო კოდით #202066726, დაფუძნდა 1999 წელს და მდებარეობს საქართველოში კერძოდ ქ. გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქ.თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 40კმ-ის მანძილზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და 100% წილის მფლობელი იყო საქართველოში რეგისტრირებული შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" ("GIG").

შ.პ.ს. ,,მტკვარი ენერჯი"-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ელექტროსისტემისათვის გარანტირებული სიმძლავრის ელექტროენერგიის წარმოების უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის გენერაცია. კომპანიის ძირითად საოპერაციო აქტივს წარმოადგენს თბოელექტროსადგური, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მის საკუთრებაში არსებულ მე-9 ენერგობლოკს. მე-9 ენერგობლოკი წარმოადგენს ზეკრიტიკული პარამეტრებით მომუშავე ბლოკური ტიპის თბოელექტროსადგურს, დადგმული სიმძლავრით 300 მვტ.

შ.პ.ს. ,,მტკვარი ენერჯი"-ს კუთვნილი მე-9 ენერგობლოკის საქმიანობა განეკუთვნება რეგულირებად სფეროს და ანგარიშვალდებულია საქართველოს ენერგეტიკისა და მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინაშე. შესაბამისად ელექტროენერგიის რეალიზაცია ხორციელდება დადგენილი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

2020 წლის განმავლობაში, სემეკმა დაადგინა შემდეგი ტარიფები და პერიოდი კომპანისათვის:

- რეზერვირების პერიოდი - 276 დღე
- გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი - 77,330 ლარი დღეში
- ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი კვტ /სთ, 2020 წლის განმავლობაში: იანვარი - 0.12636 ლარი, თებერვალი - 0.12290 ლარი, სექტემბერი - 0.16030 ლარი, დეკემბერი - 0.13987 ლარი.

2021 წლისთვის გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი დღეში შემცირდა 69,649 ლარამდე, გენერაციის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგია შეიცვალა 2020 წელს წინა წლებთან შედარებით, და გამოითვალა სემეკის მიერ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ყოველთვიურად.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა ენერგობლოკის ოპერატიულ-დისპეტჩერული დაქვემდებარების შესაბამისად უზრუნველყოფს ბლოკის ჩართვაზე განკარგულების გაცემას ან სარეზერვო რეჟიმში ყოფნას.

რაც შეეხება წარმოების პროცესს, თბოელექტროსადგური ძირითად საწვავად მოიხმარს ბუნებრივ აირს, რომლის მოწოდება ხდება ქ. გარდაბანში არსებული გაზგამანაწილებელი სადგურიდან. ბუნებრივი აირი პირდაპირი დინებით მიეწოდება საქვაბე აგრეგატს ТГМП 344А КП1000-25-545.542, სადაც საწვავის დაწვის შედეგად გამოყოფილი სითბო გადაეცემა ქიმიურად გაწმენდილ მკვებავ წყალს, რის შედეგადაც ხდება ზეკრიტიკული პარამეტრების (მახვილი ორთქლის წნევა -255 კგძ/სმ², მახვილი ორთქლის ტემპერატურა-545 OC) გადახურებული ორთქლის მიღება, რომელიც მიეწოდება კონდენციური ტიპის ტურბინის К-300-240 2 ЛМЗ მაღალი წნევის ცილინდრში. ტურბინას მოძრაობაში მოჰყავს სინქრონული სამფაზიანი ТВВ-320-2Е ტიპის გენერატორი, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 300 მვტ-ს. გამომუშავებული ელექტროენერგია ძალოვანი ტრანსფორმატორი 500 კვ. მისალტვის საშუალებით დაკავშირებულია ქვესადგურ „გარდაბანი 500"-ის ღია გამანაწილებელ მოწყობილობასთან, რომელიც ამომრთველების საშუალებით მიერთებულია საქართველოს ელექტროსისტემასთან.

ენერგობლოკს ქიმიურად გაწმენდილი წყლით უზრუნველყოფს ქიმიური საამქრო, რომლის ნომინალური მწარმოებლურობა შეადგენს 150 ტ/სთ.

ენერგობლოკის ტექნიკური წყალმომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის დამბიდან, საიდანაც წყალი მაგისტრალური არხის საშუალებით, ექვსკამერიანი სალექარების, მბრუნავი ბადეთა საცრებისა და გაკამკამებული წყლის სალექარების გავლით მიეწოდება საცირკულაციო სისტემას.

ინფრასტრუქტურულ ერთეულებში არსებული ტექნიკური საშუალებების სწორი ექსპლუატაცია და მოვლა უზრუნველყოფს ტექნიკური წყლის უწყვეტ მიწოდებას ელექტროენერგიის წარმოების ძირითად კვანძებზე.

2020 წლის განმავლობაში კომპანიის შემოსავლები შეადგენდა 65,342,000ლარს. წმინდა ზარალი 6,032,000 ლარს, მთლიანი მოგება 11,946,000 ლარს (18.28%). მთლიანი მოგება მიმდინარე წელს (CY) დაახლოებით 2-ჯერ მეტია წინა წლებთან შედარებით (5,595,000 ლარი, 4.6%). ზრდა გამოწვეულია ნაკლები საამორტიზაციო დანარიცხებით 2019 წელს გაუფასურებულ გრძელვადიან აქტივებზე; ასევე ნაკლები დაგეგმილი სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯებით 2020 წელს.

ელექტროენერგიის გამომუშავების დინამიკა 2019-2020 წლებში:

განზ. ერთ.	2019 წელი	2020 წელი
კვტ.სთ	846,199,450	337,225,105

როგორც ცხრილიდან ჩანს 2020 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება 2019 წელთან შედარებით შემცირდა 508,974,345 კვტ.სთ.-ით საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მოთხოვნის შესაბამისად.

2020 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 195 თანამშრომელი. (191 თანამშრომელი 2019 წელს)

2. კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები

კომპანია ზედმიწევნით უზრუნველყოფს რეგულირებადი საქმიანობის სწორად წარმართვას, ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესრულებას და მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ეს მაჩვენებლები არის რელევანტური. მომავალი პერიოდის გეგმებიც განსაზღვრულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი რეგულირებადი საქმიანობის სრული მოცულობით და წარმატებით შესრულება.

ენერგობლოკის სრულ მზადყოფნას ხელს უწყობს დროულად და მაღალკვალიფიციურად ჩატარებული საჭირო სარემონტო სამუშაოები, მუდმივი ზრუნვა დასაქმებული პერსონალის ცოდნის ამაღლებაზე, შრომის დაცვის, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების მუდმივი კონტროლი.

კომპანიის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ასევე ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად მათ შედეგებზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო გეგმებზეც. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა
2020 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

4. კომპანიის ფილიალების მიმოხილვა
კომპანია არ ფლობს იურიდიულ ფილიალებს. სტრუქტურული ერთეული მდებარეობს ქ. გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქ.თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 40კმ-ის მანძილზე.

5. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

(თანხები გამოხატულია ათას ლარში)	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი	65,342	120,817
მთლიანი მოგება	11,946	5,595
წმინდა მოგება	6,032	(52,599)
მთლიანი მოგების მარჟა (%)	18.3%	4.6 %

წმინდა ზარალი 2019 წელს უმეტესწილად გამოწვეულია გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებით, რომელიც შეადგენს 51,817 ათასი ლარს. მთლიანი მოგება გაორმაგდა 2020 წელს შემცირებული საამორტიზაციო დანარიცხების და სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯების გამო.
რაც შეეხება არაფინანსურ მაჩვენებლებს, დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხებს, როგორც ძირითად ტერიტორიაზე ასევე ინფრასტრუქტურულ ერთეულებში. შემუშავებულია: ნარჩენების მართვის გეგმა და შესაბამისად სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირება და გეგმის შესაბამისად განკარგვა, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ტარდება ღონისძიებები გარემოზე ზემოქმედების შესაბამისი დოკუმენტაციის დასკვნით ნაწილში რეკომენდაციების შესრულებაზე, ქალაქ რუსთავში მდინარე მტკვარზე არსებული სათავე ნაგებობის (კაშხალი) თევზსავალისა და თევზამრიდის უწყვეტი და სწორი ფუნქციონირების მონიტორინგი, ექსპლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა და ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მონიტორინგი.

6. ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს ადგილი არ ქონია აქციების შეძენას კომპანიის მიერ.

7. ურთიერთობა კლიენტებთან

ვინაიდან კომპანიის ძირითადი საქმიანობა (ელექტროენერგიის გაყიდვა) მკაცრად რეგულირდება, კლიენტების რაოდენობა შემოიფარგლება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ განსაზღვრული პირდაპირი კლიენტებით და დისტრიბუციის ლიცენზიატებით. „მტკვარი ენერჯი" გამოიმუშავებს 100% შემოსავალს მხოლოდ 3 კლიენტისგან: სს ენერგო-პრო ჯორჯია, სს თელასი და ESCO; ეს უკანასკნელი არის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, რომელიც ასევე ფარავს მთლიან ხარჯებს გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველსაყოფად. კომპანია წლიურად ხელს აწერს პირდაპირ ხელშეკრულებებს ელექტრონერგიის (სიმძლავრის) შესყიდვის შესახებ თავის კლიენტებთან, გაყიდვების მოცულობა განისაზღვრება ESCO-ს მიერ და ტარიფებს ადგენს სემეკი. დავალიანების ნაშთი ინკასირდება თითოეული თვის ბოლოს კლიენტებისგან ან ბანკებისგან ფაქტორინგის ხელშეკრულებების შესაბამისად.
კომპანიას მყარი და სტაბილური ურთიერთობა აქვს თავის კლიენტებთან.

8. ურთიერთობა მომწოდებლებთან

კომპანიას ჰყავს 2 მთავარი მომწოდებელი: შპს „სოკარ გაზ ექსპორტ - იმპორტი", საიდანაც ხდება გაზის შესყიდვა და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია - რომელიც უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებებს. ეს უკანასკნელი არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია, რომელიც არის ერთადერთი ლიცენზიატი გაზის ტრანსპორტირების მომსახურებების გაწევის უფლებით, ლიცენზიის შეუზღუდავი ვადით.

კომპანიას მყარი და სტაბილური ურთიერთობა აქვს თავის მომწოდებლებთან.

9. ურთიერთობა თანამშრომლებთან

კომპანიაში მუშაობს დაახლოებით 195 თანამშრომელი, კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: გაზაფხულის ქუჩა 18 და გარდაბანში. ადამიანური რესურსები კომპანიის ყველაზე ღირებულ აქტივებად ითვლება, ხელმძღვანელობა ზრუნავს მათ განვითარებაზე და ყველას უქმნის თანაბარ შესაძლებლობებს. სტანდარტული ანაზღაურების პაკეტის გარდა, თანამშრომლებს აქვთ დაზღვევის და შესაბამის სფეროებში ტრენინგების / კურსების ანაზღაურების შესაძლებლობა.

10. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.
ფინანსური რისკის ერთ ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს **საკრედიტო რისკი,** რომელიც წარმოადგენს რისკს,როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ერთი მხარე მიაყენებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქტების გაყიდვის შედეგად საკრედიტო პირობების და სხვა გარიგებების საფუძველზე მეორე მხარეებთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას შეზღუდვების დაწესებით მიღებული რისკის იმ მოცულობაზე , რომელიც უკავშირდება მეორე მხარეებს ან მეორე მხარეთა ჯგუფებს. საკრედიტო რისკების დონეზე შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ასეთი რისკების მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას. კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და ასევე თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ქონია დარეზერვებული მოთხოვნები, ისევე როგორც 2019 წელს.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის პერიოდი ზოგადად წარმოადგენს 30 დღეს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მსხვილი კლიენტები მოიცავდა 3 კონტრაქტორს (ასევე 3 კონტრაქტორს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) ან 93% (97% 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) სავაჭრო დებიტორული დავალიანების მთლიანი თანხიდან, რაც დაიფარა მომდევნო 30 დღის ვადაში. კლიენტებისგან შეადგენდა 17,640 ათას ლარს. (22,533 ათასი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან უცხოურ ვალუტებში და პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა ამგვარი მიდგომების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე. საბაზრო რისკებისადმი დამოკიდებულებები ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, მაშინ როცა ყველა სხვა ფაქტორი რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილებაც შესაძლებელია დარეგულირდეს - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და უცხოური ვალუტის კურსში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტასთან დაკავშირებით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომელმაც შესაძლოა საწარმოს შეუქმნასისრთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად ამოწმებს მის ხელთარსებულ ფულად სახსრებს. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრავ მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებისგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები მათი სახელშეკრულებო, დარჩენილი დაფარვის ვადის მიხედვით. ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს შეთანხმებულ არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის ფინანსური იჯარის მთლიან ვალდებულებებს (მომავალი ფინანსური ხარჯების დაქვითვამდე). ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

თუ გადასახდელი თანხა არ იქნება ფიქსირებული, გამოყენებული თანხა განისაზღვრება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაყვანილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასობით ლარში	მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
კრედიტორული დავალიანებები	15,048	-	-	-	-	15,048
სესხები	423	847	5,862	14,293	-	21,425
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის მომავალი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები	**15,471**	**847**	**5,862**	**14,293**	**-**	**36,473**

კომპანიის მენეჯმენტი ზედმიწევნით უზრუნველყოფს რეგულირებადი საქმიანობის სწორად წარმართვას, ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესრულებას და მომავალი პერიოდის გეგმებიც განსაზღვრულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი რეგულირებადი საქმიანობის სრული მოცულობით და წარმატებით შესრულება.

კოვიდ-19 პანდემია

2019 წლის ბოლოს პირველად ინფორმაცია კოვიდ-19-ის (კორონავირუსი) შესახებ გადმოიცა ჩინეთიდან. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის შეზღუდული რაოდენობის შემთხვევების ეცნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. 2020 წელს ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისი უარყოფითმა ზემოქმედებამ ფართო მასშტაბები მიიღო.

საქართველოს ეკონომიკაზე კვლავ უარყოფით გავლენას ახდენს მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობა რეგიონში. ამასთან 2020 წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაცხადა კოვიდ–19 გლობალური პანდემია. პანდემიაზე რეაგირებისთვის საქართველოს მთავრობამ განახორციელა რიგი ზომები კოვიდ–19–ის ზემოქმედებისა და გავრცელების შესაკავებლად, როგორიცაა მოგზაურობის აკრძალვები და შეზღუდვები, კარანტინი, თვითიზოლაციის ბრძანებები და შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობაზე, მათ შორის დახურვები. აღნიშნულმა ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა და შესაძლოა კვლავ მოახდინოს ბიზნესზე, ბაზრის მონაწილეებზე, ასევე საქართველოზე და გლობალურ ეკონომიკაზე გაურკვეველი ვადის განმავლობაში.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათ შედეგებზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზეც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და თანამშრომლების განვითარების ხელშესაწყობად.

მალხაზ იასეშვილი
გენერალური დირექტორი

თეონა კორტი
მთავარი ბუღალტერი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210530430
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	31.05.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან გრიგოლია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593 127322
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	41390124836521

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდათერთმეტ მაისს მე, საქართველოს ნოტარიუს ქეთევან გრიგოლიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №45, მე-3 სართულზე, მომმართა: **გრიგორ ქაჯაიამ** (დაბადებული 24.07.1954წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პირადობის მოწმობის №13IH16948, პირადი №01009023011, გაცემული 29.09.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 51, ბინა 15) პროფესიით გერმანული ენის და ინგლისური ენის მთარგმნელი, რომელსაც სურდა მის მიერ თარგმნილ საბუთებზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ შევამოწმე **გრიგორ ქაჯაიას** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შევამოწმე მისი უფლებამოსილება (დიპლომი Г-I №185052, გაცემული 1978 წლის 1 ივლისს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის მიერ, ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი გერმანული ენის და ინგლისური ენის სპეციალობით, რეგისტრაციის №314).

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ გავაფრთხილე თარჯიმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც დადგენილია არასწორი თარგმანის შემთხვევაში და განვუმარტე, რომ ვამოწმებ საბუთზე ხელმოწერას და შინაარსზე პასუხს არ ვაგებ, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე თარგმანს.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ - ერთი ეგზემპლიარი, ხელმოწერები დამოწმებულია ყველა გვერდზე, 53 (ორმოცდაცამეტი) ხელმოწერა, 106 (ას ექვსი) ლარი - მუხლი 31.3 + დღგ 19.08 (ცხრამეტი ლარი და რვა თეთრი) ლარი - თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური – მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 127.08 (ას ოცდაშვიდი ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი: **ქეთევან გრიგოლია**

შპს მტკვარი ენერჯი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
ფინანსური ანგარიშგებები და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი **2020** წ.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგებები

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 1
ანგარიშგება მოგება-ზარალის და მთლიანი შემოსავლის შესახებ 2
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 3
ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 4

ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებული შენიშვნები

1 შპს მტკვარი ენერჯი და მისი საქმიანობა. 5
2 კომპანიის სამუშაო გარემო 5
3 მომზადების საფუძველი 6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....6
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 14
6 ახალი და გადახედული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება..... 15
7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები.....15
8 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 19
9 ძირითადი საშუალებები 21
10 სასაქონლო-მატერიალური მარაგები 22
11 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები.....22
12 ფული და ფულის ექვივალენტები 23
13 საწესდებო კაპიტალი 23
14 სესხები.....23
15 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები 25
16 შემოსავლები 25
17 რეალიზაციის ხარჯები.....25
18 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 26
19 სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა 26
20 ფინანსური შემოსავალი.....26
21 ფინანსური ხარჯები.....26
22 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები.....27
23 ფინანსური რისკის მართვა.....37
24 კაპიტალის მართვა.....32
25 ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ.....32
26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა საზომი კატეგორიის მიხედვით.....34
27 ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები.....34

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობის ანგარიში - კომპანიის საქმიანობების მიწოხილვა 2020 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მტკვარი ენერჯის ხელმძღვანელობას და მფლობელს.

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგებები ყველა არსებით საკითხთან დაკავშირებით ობიექტურად ასახავს შპს „მტკვარი ენერჯის“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ შედეგებს და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ შევამოწმეთ:

ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც მოიცავს:

- ანგარიშგებებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ანგარიშგებებს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ანგარიშგებებს კაპიტალში ცვლილების შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ანგარიშგებებს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის; და
- შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტური შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტურ შემოწმებაზე.
ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტური მონაცემები საკმარისი და შესატყვისია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენი აუდიტური დასკვნის საფუძვლად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად და ასევე ვიცავთ ჩვენს ეთიკურ პასუხისმგებლობებს IESBA კოდექსის თანახმად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (მაგრამ არ მოიცავს ამ ფინანსური ინფორმაციას და ჩვენს აუდიტურ დასკვნას მასზედ).
ჩვენი დასკვნა წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მათ შორის ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ჩვენს მიერ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტურ შემოწმებასთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამ სახით განვიხილოთ არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტური შემოწმების დროს ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად ავლენს არსებით უზუსტობებს. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობები ხელმძღვანელობის ანგარიშში, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს არ გვაქვს ასეთი განცხადების საფუძველი

გარდა ამისა, ჩვენ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ვალდებულნი ვართ გამოვხატოთ მოსაზრება შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის კონკრეტული ნაწილები მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი დასკვნით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ფინანსური წლისთვის, როდესაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებებს.
- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მ-6 პუნქტს.

ხელმძღვანელობის და იმ პირთა პასუხისმგებლობები, რომლებსაც ევალებათ ფინანსური ანგარიშგებების მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე და ობიექტურ წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, შესაძლებელს გახდის ისეთი ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობები, განაგრძოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, წარმოადგინოს ინფორმაცია მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს აღრიცხვის მეთოდი მოქმედი საწარმოს საფუძველზე მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტურ შემოწმებაზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდეს იმ შემთხვევაში, თუ მათ ცალკე ან მთლიანობაში, გონივრულ ფარგლებში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები სსაფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე ჩვენ:

ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტური პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტური მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტური მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის არსებობის პერსპექტივა. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ ასეთი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტურ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების საერთო წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის ინფორმაციას და ვაფასებთ წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშგებები ძირითად ტრანზაქციებს და მოვლენებს ობიექტურად.

სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, მართვაზე პასუხსმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტური დასკვნების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში გამოვლენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

“შპს ფრაის უოთერ ჰაუს კუპერს ჯორჯია“-ს სახელით (რეგ. # SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რგ. #SARAS-A-562091)

25 მაისი 2021 წ.
თბილისი, საქართველო.

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	48,376	51,144
არამატერიალური აქტივები		35	44
სულ გრძელვადიანი აქტივები		**48,411**	**51,188**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	6,732	6,608
გაცემული სესხები	11	9,168	2,069
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	12	18,904	23,324
დასაბრუნებელი დღგ და წინასწარ გადახდილი გადასახადები		413	631
ფული და ფულის ექვივალენტები	13	1,280	2,063
სულ მიმდინარე აქტივები		**36,497**	**34,695**
სულ აქტივები		**84,908**	**85,883**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	10,377	10,377
გაუნაწილებელი მოგება		40,396	34,364
სულ კაპიტალი		**50,773**	**44,741**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	15	12,875	14,065
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**12,875**	**14,065**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	15	6,212	5,625
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	16	15,048	21,452
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**21,260**	**27,077**
სულ ვალდებულებები		**34,135**	**41,142**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**84,908**	**85,883**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 25 მაისს შემდეგი პირების მიერ:

მალხაზ იასეშვილი	თეონა კორტი
გენერალური დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

ათას ლარში	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები	17	**65,342**	**120,817**
რეალიზაციის ხარჯი	18	(53,396)	(115,222)
მთლიანი მოგება		**11,946**	**5,595**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(2,783)	(3,240)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი	9	-	(51,817)
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	20	(159)	(485)
საოპერაციო მოგება /(ზარალი)		**9,004**	**(49,947)**
ფინანსური შემოსავალი	21	500	31
ფინანსური ხარჯი	22	(3,472)	(2,683)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**6,032**	**(52,599)**
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში		**6,032**	**(52,599)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი მოგება /(ზარალი) წლის განმავლობაში		**6,032**	**(52,599)**

ათას ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	**10,377**	**86,963**	**97,340**
ზარალი წლის განმავლობაში	-	(52,599)	(52,599)
სულ მთლიანი ზარალი წლის განმავლობაში	-	(52,599)	(52,599)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**10,377**	**34,364**	**44,741**
მოგება წლის განმავლობაში	-	6,032	6,032
სულ მთლიანი მოგება წლის განმავლობაში	-	6,032	6,032
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**10,377**	**40,396**	**50,773**

ათას ლარში	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		69,610	103,840
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(55,968)	(92,619)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(3,289)	(3,407)
გადასახადები, მოგებაზე გადახდილი გადასახადების გარდა		(404)	(859)
ოპერაციებიდან გენერირებული ფულადი სახსრები		**9,949**	**6,955**
გადახდილი პროცენტი		(1,246)	(1,483)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**8,703**	**5,472**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
გაცემული სესხები		(6,610)	(2,250)
გაცემული სესხების დაფარვა		27	267
გადახდები არამატერიალური აქტივებისთვის		(2)	-
გადახდები ძირითადი საშუალებებისთვის		(96)	(91)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(6,681)**	**(2,074)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
შემოსავლები სესხებიდან	15	14,964	15,653
სესხების დაფარვა	15	(17,782)	(17,117)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(2,818)**	**(1,464)**
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		13	3
წმინდა (კლება) /ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		**(783)**	**1,937**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	13	2,063	126
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	13	**1,280**	**2,063**

1 შპს მტკვარი და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შპს „მტკვარი ენერჯისთვის“ („კომპანია“).

კომპანია დაფუძნდა 1999 წელს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 202066726.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და 100%-ის მფლობელი იყო შპს Georgian Industrial Group Holding (‘GIG Holding’), საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. კომპანია შეიძინა GIG Holding-მა 2016 წლის ივნისში. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის მარშალის კუნძულების რესპუბლიკაში რეგისტრირებული შპს Chemexim International. კომპანიას საბოლოოდ აკონტროლებს ბ-ნი დავით ბეჟუაშვილი, საქართველოს მოქალაქე.

2020 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 195 თანამშრომელი (2019 წ: 191).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოს ელექტროსისტემისთვის გარანტირებული სიმძლავრის ელექტროენერგიის წარმოების უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის გენერაცია. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივია თბოელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს ქალაქ გარდაბანში, საქართველო. რეზერვირების რეჟიმის პერიოდი, გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი, ასევე წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფი რეგულირდება საქართველოს მთავრობის და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ („სემეკ“).

2020 წლის განმავლობაში, სემეკ-მა დაადგინა შემდეგი ტარიფები და პერიოდი:

- რეზერვირების პერიოდი - 276 დღე;
- გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი - 77,330 ლარი დღეში;
- ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი კვ/სთ 2020 წელს შეადგენდა: იანვარში - 0.12636 ლარი, თებერვალში - 0.12290 ლარი, სექტემბერში - 0.16030 ლარი, დეკემბერში - 0.13987 ლარი.

2021 წლის განმავლობაში, გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი დღეში შემცირდა 69,649 ლარამდე და ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი 2021 წლის მარტში შეადგენდა 0,15722 ლარს.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი: საქართველო, გარდაბანი, აღმაშენებლის ქუჩა #2.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარში (‘GEL’, ‘ლარი’).

2 კომპანიის სამუშაო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზრების კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია მთავრობის მიერ გახორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად.

საქართველოს ეკონომიკაზე კვლავ უარყოფით გავლენას ახდენს მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობა რეგიონში. ამასთან 2020 წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაცხადა კოვიდ–19 გლობალური პანდემია. პანდემიაზე რეაგირებისთვის საქართველოს მთავრობამ განახორციელა რიგი ზომები კოვიდ–19–ის ზემოქმედებისა და გავრცელების შესაკავებლად, როგორიცაა მოგზაურობის აკრძალვები და შეზღუდვები, კარანტინი, თვითიზოლაციის ბრძანებები და შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობაზე, მათ შორის დახურვები. აღნიშნულმა ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა და შესაძლოა კვლავ მაოხდინოს ბიზნესზე, ბაზრის მონაწილეებზე, ასევე საქართველოზე და გლობალურ ეკონომიკაზე გაურკვეველი ვადის განმავლობაში.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათ შედეგებზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზეც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და თანამშრომლების განვითარების ხელშესაწყობად.

3 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, თავდაპირველი ღირებულების პრინციპის საფუძველზე და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პრინციები მითითებულია 4 შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს კონკრეტული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს თავისი შეფასებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის სირთულეებით ან განსჯადობით, ან რომელშიც დაშვებებსა და შეფასებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ფინანსური ანგარიშგებებისთვის, წაროდგენილია 5 შენიშვნაში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალუტის გაცვლა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი (“ლარი”, “GEL”).

ტრანზაქციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის მოქმედი, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების ანგარიშსწორების და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური მოგება ან ხარჯი. ვალუტის გადაცვლა წლის ბოლოს განაკვეთებით არ გამოიყენება არაფულად ერთეულებზე, რომლებიც შეფასებულია თავდაპირველი ღირებულებით.

2020 წლის 31 დეკემბერს, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის განსაზღვრით, შეადგენდა შემდეგს: 1 აშშ დოლარი (“USD”) = 3.2766 ლარი და 1 ევრო = 4.0233 ლარი, (2019 წ. 31 დეკემბერი:1 აშშ დოლარი (“USD”) = 2.8677 ლარი და 1 ევრო (“EUR”) = 3.2095 ლარი; 31 დეკემბერი 2018 წ.: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი და 1 ევრო = 3.0701 ლარი;). დღესდღეობით საქართველოს ვალუტა ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, მინუს აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, საჭიროების შემთხვევაში. ძირითადი საშუალებები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებებში წარმოდგენილია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც არის პირობითი ღირებულება ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, მინუს აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, საჭიროების შემთხვევაში. სამართლიანი ღირებულების შეფასება განხორციელდა 2016 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ და გადაიდო ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდგომი ხარჯები შეტანილია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, გარემოებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შედინება კომპანიაში და მისი ღირებულების საიმედოდ აღრიცხვა. მცირე რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღრიცხვა ხდება მათი გაწევის შემდეგ. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა ახდენს შეფასებას, ხომ არ შეინიშნება ძირითადი საშუალებების გაუფასურება. ამგვარი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს ასანაზღაურებელ თანხას, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: აქტივის უმაღლეს სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის დანახარჯები და მისი სამომხმარებლო ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ასანაზღაურებელ თანხამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხორციელდება წლის მოგება- ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი შებრუნდება იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება აქტივის სამომხმარებლო ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასებითი მაჩვენებლები ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები..

ძირითადი რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მოცემული წლის განმავლობაში.

ცვეთა. მიწა და მშენებარე ობიექტები არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების სხვა კომპონენტების ცვეთა გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით იმისათვის, რომ მათი ღირებულება მათსავე ნარჩენ ღირებულებებზე გადანაწილდეს, მათი სავარაუდო საექსპლუატაციო ვადების განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადები წლების მიხედვით
• შენობები	20 to 35
• ჰიდროტექნიკური ნაგებობები	20 to 35
• მილგაყვანილობები და მოწყობილობები	14 to 20
• მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	7 to 20
• არმატურა და ფიტინგები	5 to 7
• ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 to 7

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშო თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს კომპანიამ აქტივის გასხვისებიდან, მინუს გასხვისების საორიენტაციო ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალური აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები და ძირითად მოიცავს კაპიტალიზებლ პროგრამული უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზებულია მათი შეძენის და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე..

განვითარების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კომპანიის მიერ კონტროლირებულ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მზარდი ეკონომიკური სარგებელის შემოდინება, რომელიც აჭარბებს ხარჯებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ჯგუფში შემავალი პერსონალის ხარჯებს და შესაბამის ზედნადებ ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება მათი გაწევის მიხედვით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში. სასარგებლო გამოყენების ვადები კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფისა და ლიცენზიებისთვის შეადგენს 2-დან 10 წლამდე პერიოდებს.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება სამომხმარებლო და სამართლიანი ღირებულების უმაღლეს ღირებულებამდე, რეალიზაციის ღირებულების გამოკლებით.

აქტივი გამოყენების უფლების ფორმით. კომპანია იჯარით გასცემს სხვადასხვა აქტივებს. კონტრაქტები შესაძლოა მოიცავდეს როგორც საიჯარო, ასევე არასაიჯარო კომპონენტებს, მათი დამოუკიდებელი ფასების საფუძველზე

აქტივები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან თავდაპირველად შეფასებულია მიმდინარე ფასების საფუძველზე.

აქტივი გამოყენების უფლების ფორმით თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას,
- საიჯარო გადახდებს, რომელიც განხორციელებულია დაწყების დღეს ან მანამდე, მინუს მიღებული საიჯარო სტიმულები,
- ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ ხარჯს; და
- აქტივის აღდგენის ხარჯს, საიჯარო ხელშეკრულებებით მოთხოვნილ მდგომარეობაში.

აქტივი გამოყენების უფლების ფორმით შემდეგ გაუფასურდება წრფივი მეთოდის საფუძველზე აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას და იჯარის ვადას შორის უფრო მოკლე ვადაში. გამოყენების უფლების ფორმით აქტივი ელემენტების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით შეფასებულ სასარგებლო გამოყენების ვადაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა ან არამატერიალური აქტივები, რომლებიც არ არიან მზად გამოყენებისთვის, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და მოწმდება გაუფასურებაზე ყოველწლიურად. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას, გადაიხედება გაუფასურებაზე როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ დაექვემდებაროს ანაზღაურებას. გაუფასურების ზარალი აღიარება ხდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ჩანაცვლების ღირებულებას. ჩანაცვლების ღირებულება აღემატება აქტივის სამართლიან ღირებულებას მინუს რეალიზაციის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულება. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელზეც ისინი წარმოქმნიან დამოუკიდებელ ფულად ნაკადებს (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების წინა გაუფასურებები გადაიხედება შესაძლო შებრუნებაზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდილი იქნეს ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგებისას შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, რომლის პირობებშიც აქტივთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებული გარიგებები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ რეგულარულად იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ფასების შესახებ..

აქტიურ ბაზარზე ბრუნვაში გაშვებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება, როგორც კოტირებული ფასის პროდუქტი ინდივიდუალური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის და საწარმოს მიერ ფლობილი რიგი ინსტრუმენტებისთვის. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც ჩვეულებრივი საბაზრო ყოველდღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი არსებული რაოდენობის ასათვისებლად და ერთჯერადი გარიგებით პოზიციების გაყიდვასთან დაკავშირებული შეკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ან დამოუკიდებელ მხარეებს შორის ბოლოდროინდელ გარიგებებზე დაფუძნებული მეთოდები ან ინვესტიციის მიმღების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებთან დაკავშირებითაც უცხოური ბაზრების ფასების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია. სამართლიანი ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქციაში მათი დონის მიხედვით (i) პირველი დონის შეფასებებია შეფასებები აქტიურ ბაზრებზე კოტირებულ (არაკორექტირებულ) ფასებად იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებებია შეფასების მეთოდები, რომლებშიც აღინიშნება ყველა მატერიალური დანახარჯი აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირი (როგორიც არის ფასები) ან არაპირდაპირი გზით (ანუ ფასებიდან გამოყვანილი), და (iii) მესამე დონის შეფასებებია შეფასებები, რომლებიც არ ემყარება მხოლოდ არსებულ საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან ხელმიუწვდომელ საბაზრო მონაცემებს).

გარიგების ხარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯებია ის ხარჯები, რომლებიც არ შეიძლება გაწეული იქნეს, თუ არ ხორციელდება გარიგება. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (იმ თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოსა და ანაზღაურებას, მარეგულირებელი სააგენტოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გადარიცხვის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მარაგების შენახვის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება ("AC") წარმოადგენს თანხას, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა თავდაპირველად აღიარებული, მინუს ძირითადი თანხის დაფარვების თანხა, პლუს დარიცხული პროცენტები, და ფინანსური აქტივებთან მიმართებაში – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("ECL") რეზერვის გამოკლებით. დარიცხული პროცენტები მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების ხარჯების და ნებისმიერი პრემიის თუ დისკონტის ამორტიზებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტებით მიღებული შემოსავალი და ხარჯი დაგროვილი კუპონების შემოსავლისა და ამორტიზირებული დისკონტისა ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული მოსაკრებლების ჩათვლით, მათი არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებლად და არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პუნქტების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების შესაბამის პერიოდზე იმგვარად გადანაწილების მეთოდი, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის საშუალებითაც ზუსტად ხორციელდება სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორებების ან შემოსავლების დისკონტირება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო მოქმედების ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში (შესაბამის შემთხვევებში), ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით ხორციელდება სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის ხელახალი შეფასების მომდევნო თარიღისთვის, პრემიისა და იმ ფასდაკლების გამოკლებით, რომელიც ასახავს საკრედიტო "სპრედს" ინსტრუმენტში განსაზღვრულ მცურავ განაკვეთთან მიმართებაში, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ დგინდება საბაზრო განაკვეთებთან დაკავშირებით. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიან მოსალოდნელ მომსახურების ვადაში. მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშება მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა მოსაკრებელს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს შეადგენს. პოლიტიკა). აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ შეძენილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულ აქტივებს („POCI“) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკით, ე.ი. გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდების ნაცვლად.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL (სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში) თავდაპირველად აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ტრანზაქციულ ხარჯებზე. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას, მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებულ საბაზრო მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი აღიარებულია ფინანსურ აქტივებში, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და ინვესტიციებში სავალო ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია FVOCI-ით (სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში), რაც იწვევს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შეფასების შემდეგი კატეგორიებით: ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს როგორ მართავს კომპანია აქტივებს ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით - არის თუ არა კომპანიის მიზანი: (i) აქტივებიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება („ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“, ან (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების ამორება („ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი სახელშეკრულები ფულადი ნაკადები“) ან თუ არც (i) და არც (ii) პუნქტი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელის ფარგლებში და იზომება ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL).

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე იმ საქმიანობების შესახებ, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების თარიღისთვის არსებული პორტფელისთვის დასახული მიზნების მისაღწევად. ბიზნეს მოდელსი განსაზღვრისას კომპანიის მიერ გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმის თაობაზე თუ როგორ იქნა ამოღებული ფულადი ნაკადები შესაბამის აქტივებთან დაკავშირებით, როგორც იქნა შეფასებული და მართული რისკები, როგორ შეფასდა აქტივების ეფექტურობა და როგორ ხდება მენეჯერების კომპენსაცია.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ ბიზნეს-მოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, კომპანია აფასებს წარმოდგენილია თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით (“SPPI”).

თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადაფასება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს სამომავლო ეფექტი და იწყება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ. საწარმომ არ შეცვალა თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდში და არ განახორციელა არანაირი რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვის - ECL-თან დაკავშირებით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია პროგნოზის საფუძველზე, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) სავალო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემესავალში (FVOCI) და რისკებისთვის, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან საკონტრაქტო აქტივებისთვის. კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს ფინანსურ და საკონტრაქტო აქტივებზე თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გასული მოვლენების, არსებული პირობების და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მეთოდს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოყენებას ყველა დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად დებიტორული დავალიანებები ჯგუფდება საკრედიტო რისკის საერთო მახასიათებლების საფუძველზე (დებიტორული დავალიანებები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, კლიენტთა რეიტინგის, დამატებითი ან სავაჭრო კრედიტების დაზღვევის მიხედვით). მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტები ეფუძნება გაყიდვების დაფარვის განრიგს გასული 360 თვის განმავლობაში და ამ პერიოდში წარმოქმნილ თავდაპირველ საკრედიტო ზარალს. გასული პერიოდის ზარალის კოეფიციენტები კორექტირდება მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაციის ასახვის მიზნით მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს კლიენტების დებიტორული დავალიანებების დაფარვის შესაძლებლობაზე.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს აღდგენის ყველა პრაქტიკულ ზომას და არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ აქტივი ანაზღაურდება. ჩამოწერა ისეთი მოვლენაა, რომელიც იწვევს აღიარების შეწყვეტას. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც კვლავ ექვემდებარება ამოღებას, როდესაც კომპანია ცდილობს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხების ამოღებას, თუმცა არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ასეთ თანხებს აინაზღაურებს.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსურ აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან დადო სპეციალური ტრანზიტული შეთანხმება, რომლის თანახმად (i) კომპანიამ გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი ან (ii) კომპანიას არ გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი, გარდა მათზე კონტროლის უფლებისა.

კონტროლის უფლება ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა სრულად მიყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც შემდგომ შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია FVTPL-ით (სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში): ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულ ინსტრუმენტებზე, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად მოკლე პოზიცია ფასიან ქაღალდებში), პირობით ანაზღაურებაზე, რომელიც აღიარებულია შემძენის მიერ ბიზნესის გაერთიანებაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ სახით თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ე.ი. როდესაც კონტრაქტში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიას და მის თავდაპირველ კრედიტორებს შორის სავალო ინსტრუმენტების გაცვლა არსებითად განსხვავებული პირობებით, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობებისა და დებულებების არსებითი მოდიფიკაციებით, აღირიცხება როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. პირობები არსებითად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი გადახდილი საფასური მიღებული და დისკონტირებული საფასურის გამოკლებით, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მინიმუმ 10% პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დანარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. იმ შემთხვევაში, თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აღიარებულია მოგების ან ზარალის ნაწილად დაფარვისას. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლა ან მოდიფიკაცია არ აღირიცხება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დანარჩენ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს დაფარვას, ითვლება ცვლილებად შეფასებაში წინა რიცხვით ამორტიზაციის დარიცხვის კუმულაციური პროცედურის გამოყენებით, მოგება-ზარალში აღიარებული მოგებით ან ზარალით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბალანსო ღირებულებებში სხვაობის ეკონომიკური არსი უკავშირდება კაპიტალურ გარიგებას მფლობელებთან.

ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა განხორციელდება და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წმინდა თანხა აისახება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული ტანხების ურთიერთჩათვლის კანონით განსაზღვრული უფლება, და არსებობს განზრახვა, რომ ჩათვლა განხორციელდეს ნეტო–საფუძველზე, ან ერთდროულად მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა. ჩათვლის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ შემთხვევაზე და (ბ) და უნდა იყოს იურიდიულად ქმედუნარიანი ყველა შემდეგ შემთხვევაში: (i) საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში**.**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, მოთხოვნამდე ანაბრებს ბანკში და სხვა მოკლევადიან, მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა შეადგენს სამ თვეს ან უფრო ნაკლებ პერიოდს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) თუ ისინი არ არის შეტანილი საკონტრაქტო პირობებში იმ სახით, რომ აღნიშნული პრინციპი გამოყენებული იქნებოდა კანონმდებლობის შესწორების შემთხვევაშიც, ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს (მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდა), და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულია მხოლოდ კანონმდებლობით, როგორიცაა რესტრუქტურიზაციის კანონი კონკრეტულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას SPPI ტესტზე, შემდგომი შეცვლის შემთხვევაშიც კი. შეზღუდული გამოყენების ნაშთები გამოირიცხება ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის. ნაშთები, რომელთა გაცვლა ან გამოყენება ვალდებულებების დასაფარად აკრძალულია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, შეტანილია სხვა გრძელვადიან აქტივებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები დაირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სესხები. სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, გაწეული საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია. იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული საერთო და კონკრეტული სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით და საჭიროებს დიდ დროს დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის ან გასაყიდად მომზადებისთვის (კვალიფიცირებული აქტივი) ხორციელდება როგორც აღნიშნული აქტივების ხარჯების ნაწილი, თუ კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება 2009 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება, როდესაც: (ა) კომპანია გაწევს ხარჯებს კვალიფიცირებულ აქტივზე; (ბ) გაწევს სასესხო ხარჯებს; და (გ) შეასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელიც საჭიროა აქტივის მოსამზადებლად დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია გაგრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად იქნება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სასესხო ხარჯების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შეიძლებოდა, თუ ის არ გაწევდა კაპიტალურ ხარჯებს კვალიფიცირებულ აქტივებზე. კაპიტალიზებული სასესხო ხარჯები გამოანგარიშდება კომპანიის დაფინანსების საშუალო ღირებულების საფუძველზე (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯები გამოიყენება კვალიფიცირებული აქტივების ხარჯებზე) იმ შემთხვევების გარდა, როდესაც რომ სესხების აღება კონკრეტულად კვალიფიცირებული აქტივის შესყიდვის მიზნით ხდება. ასეთ შემთხვევაში სესხების ფაქტობრივი ხარჯები, აღნიშნული სესხების დროებითი ინვესტირებით მიღებული საინვესტიციო შემოსავლების გამოკლებით, ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

საიჯარო ვალდებულებები. საიჯარო ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან, თავდაპირველად შეფასებულია მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), მისაღები საიჯარო სტიმულების გამოკლებით.

სხვაობა ფაქტობრივ საიჯარო გადახდებს, რომელიც ეფუძნება ყოველთვიურ გაყიდვებს თითოეულ გაზგასამართ სადგურზე და მინიმალურ საკონტრაქტო საიჯარო გადახდებს შორის, განიხილება საოპერაციო იჯარის ხარჯად და ირიცხება მოგება-ზარალში.

გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონები შეტანილია რიგ იჯარებში კომპანიის ფარგლებში. აღნიშნული პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის საქმიანობებში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. გაგრძელების ოფციონების უმეტესობა გამოიყენება მხოლოდ კმპანიის მიერ და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ, ხოლო შეწყვეტის ოფციონები გამოიყენება, როგორც კომპანიის, ასევე მეიჯარის მიერ. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდი შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) შეტანილი იქნება საიჯარო პირობებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იჯარა დასაბუთებულად უნდა გაგრძელდეს (ან არ შეწყდეს). საიჯარო გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სათანადოდ დასაბუთებული გაგრძელების ოფციონების შესაბამისად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით, განაკვეთით, რომელსაც კომპანია გადაიხდიდა გამოყენების უფლების ფორმის აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოპოვებისთვის საჭირო სახსრების სასესხებლად, მსგავს ეკონომიკურ პირობებში, ანალოგიური პირობებით და უზრუნველყოფით.

მზარდი სასესხო განაკვეთის განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს ცვლილებებით საიჯარო კონტრაქტის დენომინირებული ვალუტის და პირობების შესაბამისად. ეს მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირითად და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის ვადაში, მუდმივი პერიოდული საპროენტო განაკვეთის მისაღებად ვალდებულების ნაშთზე თითოეულ პერიოდში.

მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები 12 თვიანი ან ნაკლები იჯარის ვადით..

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში ანგარიშგების პერიოდის დასრულებისას მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები) არ არიან ვალდებულნი გადაიხადონ მოგების გადასახადი მიღებულ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით.

15%–იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდები მოგებაზე, რომელიც დაგროვებულია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, იბეგრება მოგების გადასახადით გაანგარიშებული მთლიან მაჩვენებლებზე, გამოკლებული საგადასახადო შეღავათი, რომელიც გამოთვლილია, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა – მთლიან წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა საგადასახადო შეთავათის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილ იქნა დივიდენდები. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდის შემდეგ, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა თანხებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ საწარმოებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო შეღავათის გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები .კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აისახება გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებიც ხელმძღვანელობის შეფასებით დიდი ალბათობით გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ ეს პოზიციები სადავო გახდება საგადასახადო ორგანოების მიერ. შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები ჯარიმებთან, პროცენტებთან და გადასახადებთან დაკავშირებით, მოგების გადასახადის გარდა, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აისახება მოგების გადასახადის ფარგლებში. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება პროცენტთან და ჯარიმებთან დაკავშირებით აისახება ფინანსურ ხარჯებში და სხვა მოგებაში / (ზარალი), წმინდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი. დარიცხული დღგ - გენერირებული ელექტროენერგიის გაყიდვა და გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ს გადახდისგან, პირდაპირი მომხმარებლისთვის მიწოდების გარდა, რომელიც იბეგრება 18%-ით და გადასახდელია იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგიდან: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოების მხრიდან დასაშვებია დღგ-ს გადახდა ნეტო საფუძველზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სასაქონლო-საწარმოო მარაგები. სასაქონლო–მატერიალური მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს და აუნაზღაურებად გადასახადებს და სატრანსპორტო, დამუშავების და საქონლის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. სასაქონლო მარაგების ხარჯი განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. წმინდა რეალიზაციის ღირებულება არის საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში სავარაუდო გასაყიდ ღირებულებას გამოკლებული დასრულებისა და რეალიზაციის ხარჯები.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აისახება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ავანსები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელის და მომსახურების შეძენის მოსალოდნელი ვადა დადგება ერთი წლის შემდეგ ან როდესაც აღნიშნული ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად არის კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდების თანხები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია იძენს აქტივზე კონტროლის უფლებას და როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. სხვა სახის წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როდესაც მიიღება ასეთ გადახდებთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება. თუ არსებობს მინიშნება, რომ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, შესაბამისად ჩამოიწერება წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში..

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მაგალითად ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და სხვა) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამდე, სანამ გაიცემა ნებართვა ფინანსური ანგარიშების გამოშვებაზე, ასახულია შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებისა და ხარჯების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არაფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არის იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებული რესურსების გადინება, და შესაძლებელი იქნება ვალდებულების თანხა სარწმუნოდ შეფასება. რეზერვები გაანგარიშდება ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილ იქნას ვალდებულების დასაფარად დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების და ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დროთა განმავლობაში რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად..

მოსაკრებლები და გადასახადები, როგორიცაა გადასახადები, მოგების გადასახადის ან მარეგულირებელი მოსაკრებლების გარდა, იმ პერიოდთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლამდეც წარმოიშვა გადახდის ვალდებულება, აღიარებულია ვალდებულებებად, როდესაც დადგება სავალდებულო მოვლენა, რომელიც განაპირობებს მოსაკრებლების გადახდას, როგორც განისაზღვრება კანონმდებლობით მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების შესახებ. თუ მოსაკრებელი გადაიხდება სავალდებულო მოვლენამდე, ის აღიარდება წინასწარ გადახდად.

თუ კომპანია ვარაუდობს რეზერვის ანაზღაურებას, მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად ეჭვს არ იწვევს.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი წარმოიშობა კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობების პროცესში. შემოსავალია აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომელზეც კომპანია უფლებამოსილი იქნება კლიენტისთვის შეპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის უფლების გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით ინკასირებული თანხების გამოკლებით. შემოსავალი აღიარებულია დისკონტების, შემოსავლების და დამატებული ღირებულებების გადასახადების გარეშე.

ელექტროენერგიის გაყიდვა. ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღიარებულია გაყიდული ელექტროენერგიის აღრიცხული მოცულობის საფუძველზე და გამოითვლება სემეკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად. ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები განისაზღვრება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვა. გარანტირებული სიმძლავრიდან მიღებული შემოსავლები აღიარებულია იმ დღეების რაოდნეობის საფუძველზე, როდესაც სადგური მზად არის მიაწოდოს ელექტროენერგია დადგმული სიმძლავრით. დღიური ტარიფი გარანტირებული სიმძლავრისთვის განისაზღვრება სემეკის მიერ.

საწარმო გადასცემს კონტროლს დროთა განმავლობაში და შესაბამისად აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, შემოსავალი მომსახურებების გაწევიდან აღიარებულია სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურებები იქნა გაწეული. მომსახურებების გაწევა ხდება უწყვეტად მოცულობის შეფასების მეთოდის საფუძველზე (წარმოებული ელექტროენერგია).

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაფინანსების კომპონენტები. კომპანია თვლის, რომ არ გააფორმებს კონტრაქტებს იმ შემთხვევაში, თუ პერიოდი კლიენტისთვის შეპირებული საქონლის და მომსახურების გადაცემასა და კლიენტის მიერ გადახდას შორის აღემატება ერთ წელს. შედეგად გარიგების ფასები არ კორექტირდება ფულის დროით ღირებულებაზე.

საოპერაციო იჯარის შემოსავალი. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მეიჯარეს წარმოადგენს იმ ტიპის იჯარის შემთხვევაში, როდესაც მოიჯარისთვის არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა (ე.ი. საოპერაციო იჯარა) საიჯარო გადახდები საოპერაციო იჯარებიდან აღიარებულია სხვა შემოსავლად წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, სარგო, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი (როგორიცაა ჯანდაცვის მომსახურებები და საბავშვო ბაღები) დაირიცხება წლის განმავლობაში, რომელშიც გაწეულია დაკავშირებული მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანია არ გაწევს ხარჯებს საპენსიო ან სხვა ანაზღაურებას შრომითი საქმიანობის დასრულების შემდეგ თავისი თანამშრომლებისთვის.

ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გამოშვების შემდეგ. საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დამტკიცებას, რომელიც იძლევა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების გამოცემის ნებართვას

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობები მუდმივად კონტროლდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ მსჯელობების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე იყენებს სხვა მსჯელობებს. მსჯელობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება არის განსჯის საგანი მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შეტანილი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოიყენება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული ცვეთა და ამორტიზაცია, ხშირ შემთხვევაში იწვევს აქტივებშ შეტანილი ეკონომიკური სარგებელის შემცირებას. ხელმძღვანელო აფასებს დანარჩენ სასარგებლო გამოყენების ვადას აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობის და შეფასებული პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია, რომ აქტივი სარგებელს მოუტანს კომპანიას. გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა და ამორტიზაცია, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული ცვეთა, რომელიც წარმოიშობა საბაზრო პირობებში ცვლილებებიდან გამომდინარე.

თუ შეფასებული სასარგებლო გამოყენების ვადა 10% განსხვავდება ხელმძღვანელების შეფასებებისგან, ზემოქმედება ცვეთაზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გაიზრდებოდა 298 ათასი ლარით ან შემცირდებოდა 244 ათასი ლარით (2019 წ.: 622 ათასი ლარით ზრდა ან 509 ათასი ლარით შემცირება).

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. კომპანიის ძირითადი საშუალებები (PPE) მოიცავს კონკრეტულ აქტივებს, რომელიც უნდა გამოყენებულიყო დაკავშირებული მხარის, შპს C Power - ის პროექტის - გარდაბანში მშენებარე ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურისთვის (“C Power Project ”). „C Power Project” დასრულება და წარმატებული ექსპლუატაცია მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული შპს „საქნახშირის“ (GIG Holding მიერ საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანია) მიერ მოპოვებულ ნახშირზე .

2019 წლის სექტემბერში, შპს საქნახშირი გავიდა ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფიდან . შედეგად გარდაბნის მუნიციპალიტეტში 150 – 300 მგვტ სიმძლავრის ნახშირის თბოელექტოსადგურის მშენებლობა შეჩერდა. აღნიშნული მოვლენები განისაზღვრა შპს მტკვარი ენერჯის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორად 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

გაუფასურების ტესტის შედეგი იყო გაუფასურების ზარალი 51,817 ათასი ლარის ოდენობით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შენიშვნა 9).

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დასკვნები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი დაშვებები და ზემოქმედება აღნიშნულ დაშვებებში შესაძლო ცვლილებების მთლიან შეფასებებზე, ყველა სხვა ფიქსირებულ ცვლადთან ერთად, არის შემდეგი:

- ელექტროენერგიის ტარიფი და მოსალოდნელი შემოსავალი შეფასდა „რეგულირებული აქტივის ბაზის“ საფუძველზე, რომელიც სემეკ-ის განსაზღვრით შეადგენს 37,206 ათას ლარს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თუ აღნიშნული ღირებულება გაიზრდება / შემცირდება 10%-ით, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი თანხა 1,568 ათასი ლარით მაღალი / დაბალი იქნება.
- კაპიტალის ღირებულების შეწონილი საშუალო ითვლება 13.89%-ად. თუ ეს განაკვეთი გაიზრდება / შემცირდება 1 პროცენტული პუნქტით, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი თანხა იქნება 1,886 ათასი ლარით / 1,992 ათასი ლარით დაბალი / მაღალი.
- გაცვლითი კურსი 2025 წლის ბოლოს სავარაუდოდ იქნება: 1 აშშ დოლარი - 3 ლარი. თუ ეს განაკვეთი გაიზრდება / შემცირდება 10%-ით, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი თანხა იქნება 2,454 ათასი ლარით მაღალი / დაბალი.
- ნარჩენი ღირებულება 63,000 ათასი ლარი შეფასებულია “ENERGOPROJECKT-KATOWICE” SA.-ს მიერ. თუ ეს განაკვეთი გაიზრდება / შემცირდება 10%-ით, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი თანხა იქნება 2,454 ათასი ლარით მაღალი /ნაკლები.

6 ახალი და გადახედული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები ცვლილებები ფასს 16-ში, რომელიც გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის,რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან შემდეგ ცვლილებები ითვალისწინებს მოიჯარეების დახმარებას ოფციონური გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესია იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ საიჯარო კონცესიები იმ სახით, თითქოს ისინი არ წარმოადგენენ იჯარის მოდიფიკაციებს. პრაქტიკული მეთოდი გამოიყენება მხოლოდ საიჯარო კონცესიებზე, რომლებიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად. და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა: ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს გადახედულ მოსაზრებას იჯარასთან დაკავშირებით, რომელიც არსებითად იგივე ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე იჯარის მოსაზრებაზე; საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან ამ თარიღამდე გადასახდელ თანხებზე; და არ არსებობს არსებითი ცვლილება იჯარის პირობებსა და დებულებებში. ამ ცვლილების გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა კომპანიაზე.

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებული სტანდარტები, თუმცა არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიაზე:

- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემული 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- ბიზნესის განსაზღვრება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შეძენებისთვის წლიური ანგარიშგების დაწყებიდან, რომელიც აითვლება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- არსებითობის განსაზღვრება – ცვლილებები ბასს 1-ში და ბასს 8-ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39 და ფასს 7-ში (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები

გამოიცა კონკრეტული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა კომპანიის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ და რომლებიც კომპანიას ადრე არ გამოუყენებია.

ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კაპიტალის დაბანდება - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ). აღნიშნული ცვლილებები ეხება შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ს მოთხოვნებს შორის ინვესტორსა და მის ასოცირებულ კომპანიას ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვასთან ან დაბანდებასთან დაკავშირებით..

აღნიშნული ცვლილებების მთავარი შედეგი არის ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნეს საქმიანობას. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარებულია როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნეს საქმიანობას, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7. ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ფასს 17 ცვლის ფასს 4–ს, რომელიც უფლებას აძლევს კომპანიებს განახორციელონ აღრიცხვა სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ეფექტურობის შედარება. ფასს 17 არის ერთიანი პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების, მათ შორის გადაზღვევის ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის, რომლებსაც სადაზღვევო კომპანია ფლობს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით რისკის გათვალისწინებით (შესრულების ფულადი ნაკადები), რომელიც შეიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას აღნიშნული ფულადი ნაკადების შესახებ, რომელიც შეესაბამება სარწმუნო საბაზრო ინფორმაციას; პლუს (თუ აღნიშნული ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს გაუნაწილებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფებში (სახელშეკრულებო მომსახურებების ზღვარი). სადაზღვევო კომპანიები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ისინი უზრუნველყოფენ სადაზღვევო დაფარვას, და რისკის გარეშე. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი ასახავს ზარალს, კომპანია აღიარებს ზარალს დაუყოვნებლივ.

ცვლილებები ფასს 17-ში და ცვლილება ფასს 4-ში (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ცვლილებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელთა მიზანია ფასს 17 განხორციელება, სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნის გამარტივება და გადასვლა. ცვლილებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განსაზღვრული აღნიშნული სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (რომელიც მოიცავს ცვლილებებს) გადაიდო ორი წლით წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ასევე გადაიდო ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი წლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ამოღება:* საწარმოს მოეთხოვება გაანაწილოს შეძენის ხარჯების ნაწილი დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღიაროს აღნიშნული ხარჯები აქტივად სანამ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის დაბრუნების შესაძლებლობა თითოეულ ანგარიშგების დღეს და წარადგინოს კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- *საკონტრაქტო მომსახურების მარჟა საინვესტიციო მომსახურებებთან დაკავშირებით:* უნდა განისაზღვროს დაფარვის ერთეულები ბენეფიტების რაოდენობის და სადაზღვევო დაფარვის და საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის ცვლადი მოსაკრებლის მიდგომის გამოყენებით და სხვა კონტრაქტებისთვის საინვესტიციო შემოსავლის მომსახურებით საერთო მოდელის ფარგლებში. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იქნას როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო შეასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.

7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

- *გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს პირველი სადაზღვევო ხელშეკრულებების დამამძიმებელი ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დამამძიმებელი პირველადი კონტრაქტების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროსგადაზღვევის ხელშეკრულების დაკავშირებული ჯგუფის საკონტრაქტო მომსახურების მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან ანაზღაურებული ზარალის თანხა განისაზღვრება პირველად სადაზღვევო კონტრაქტებზე აღიარებული ზარალის და პირველად სადაზღვევო კონტრაქტებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლების გამრავლებით, რომელსაც საწარმო თვლის, რომ აანაზღაურებს გადაზღვევის კონტრაქტიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაზღვევის კონტრაქტი აღიარებულია იმ თარიღამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია პირველად სადაზღვევო კონტრაქტებზე.
- *სხვა ცვლილებები:* სხვა ცვლილებები მოიცავს გამონაკლისებს ზოგ საკრედიტო ბარათის (ან მსგავს) კონტრაქტებთან და ზოგ სესხის კონტრაქტებთან დაკავშირებით; სადაზღვევო კონტრაქტების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებას ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის კონტრაქტების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევას წინა შუალედურ ფინანსური ანგარიშგებებში განხორციელებულ შეფასებებში ცვლილების განხორციელებისთვის, ფასს 17-ის გამოყენებისას; მოგების გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანას, რომლებიც კონკრეტულად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო კონტრაქტის პირობების შესაბამისად ფულად ნაკადებში; და შერჩეული გადასვლის და სხვა მცირე ცვლილებებს.

კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია - ცვლილებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).აღნიშნული ვიწრო ფარგლების ცვლილებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის დასასრულს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს დაფარვის ვადა მინიმუმ თორმეტი თვით. აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპი აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოსაზრებები გამოიყენებენ თუ არა დაფარვის გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიან ვალდებულებას, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, კი თუ ამ პირობაზე უარი მოპოვებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ამის საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად იმ შემთხვევაში, თუ სესხის პირობა დაირღვევა მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა ცვლილებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას ვალთან დაკავშირებით, რომელიც კომპანიამ შესაძლოა დაფაროს მისი კაპიტალში გარდაქმნით. დაფარვა განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ფულით, სხვა ესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არის კონვერტირებადი ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა გარდაიქმნას კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, კომბინირებული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - ცვლილებები ბასს 1-ში გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ცვლილებები ბასს 1-ში ვალდებულებების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაციაზე, გაიცა 2020 წლის იანვარში, ძალაში შესვლის თავდაპირველი თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა კოვიდ-19 პანდემიის გამო ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით შესწორებული სახელმძღვანელოს შედეგად გამოწვეული კლასიფიკაციის ცვლილებების განხორციელებისთვის. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსავლები დანიშნულებით გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტარქტის შესრულების ღირებულება, მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - ვიწრო სფეროს ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს-16-ში და ბასს 41-ში (გაცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ცვლილებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალების ერთეულის ღირებულებიდან დაქვითოს ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შემოსავლები ასეთი ერთეულებსი გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2 აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან არ არის მზად დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ცვლილებები ბასს 16-ში ასევე განმარტავს, რომ საწარმო ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი, როდესაც აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას.

აქტივის ფინანსური ეფექტურობა არ უკავშირდება ამ შეფასებას. შესაბამისად აქტივი შესაძლოა იყოს მოქმედი, როგორც განსაზღვრავს ხელმძღვანელობა და დაექვემდებაროს ცვეთას სანამ მიაღწევს საოპერაციო ეფექტურობას, როგორც მიიჩნევს ხელმძღვანელობა.

ცვლილება ბასს 37-ში განსაზღვრავს კონტრაქტის შესრულების ხარჯების მნიშვნელობას. ცვლილება განმარტავს, რომ კონტრაქტის შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს კონტრაქტის შესრულების მზარდ ხარჯებს და სხვა ხარჯების განაწილებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება შესრულებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ სანამ განისაზღვრება დამამძიმებელი კონტრაქტის ცალკე დებულება, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომელიც მიადგა კონტრაქტის შესრულებაში გამოყენებულ აქტივს, და არა აღნიშნული კონტრაქტისთვის განკუთვნილ აქტივებს.

ფასს 3 შეიცვალა „2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების“ მითითებით იმის განსაზღვრისთვის რას მოიცავს აქტივი ან ვალდებულება ბიზნეს გაერთიანებაში. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეხებოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს“. გარდა ამისა ფასს 3 დაემატა ახალი გამონაკლისი ვალდებულებებთან და პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით. გამონაკლისი მიუთითებს, რომ კონკრეტული სახის ვალდებულებებისა და პირობითი ვალდბეულებებისთვის საწარმომ, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფაისკ 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, ნებისმიერი საწარმო ზოგი ვალდებულების აღიარებას მოახდენდა ბიზნეს გაერთიანებაში, რომელიც არ აღიარდება ბასს 37-ის მიხედვით. აქედან გამომდინარე შეძენისთანავე საწარმომ უნდა შეწყვიტოს ასეთი ვალდებულებების აღიარება და აღიაროს მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებულ იქნა, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

ცვლილებები ფასს 9-ში ეხება რომელი მოსაკრებლები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარებსი შეწყვეტისთვის. მოსაკრებლები ან ხარჯები შეიძლება გადაეხადოს მესამე მხარეებს ან კრედიტორებს. ცვლილების ფარგლებში, მესამე მხარეებისთვის გადახდილი მოსაკრებლები ან ხარჯები არ იქნება შეტანილი 10% ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, შეიცვალა, ამოღებული იქნა გადახდების გამოსახულება მეიჯარისგან, საიჯარო ქონების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. ამოღების მიზეზია პოტენციური დაბნეულობის ამოღება საიჯარო შეღავათების განსაზღვრაში..

ფასს 1 ითვალისწინებს შეღავათს თუ შვილობილი კომპანია მიიღებს ფასს-ს თავის მშობელ კომპანიაზე გვიან. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნება მისი მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ არანაირი კორექტირება არ გაკეთებულა კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შეიცვალა და ითვალისწინებს საწარმოებისთვის, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 ასევე შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები მშბელი კომპანიის გაცხადებული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ცვლილება ფასს 1-ში ვრცელდება დარიცხულ საკურსო სხვაობებზე ხარჯების შესამცირებლად მათთვის, რომლებმაც პირველად მიიღეს აღნიშნული . ცვლილება ასევე ვრცელდება მეკავშირე საწარმოებზე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

მოთხოვნა საწარმოებისთვის, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ბასს 41-ის შესაბამისად, ამორებულია. ამ ცვლილების მიზანია აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისობა სტანდარტში დისკონტირებულ ფულად ნაკადებთან დაბეგვრის შემდეგ. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე..

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთების (IBOR) რეფორმირება - ფაზა 2 ცვლილებები ცვლილებები ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 (გამოცემული 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფაზა 2 ცვლილებები არეგულირებს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელებიდან, მათ შორის ერთი კრიტერიუმის შეცვლა ალტერნატივით. ცვლილებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების აღრიცხვა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების განსაზღვრაში IBOR რეფორმის შედეგად: ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, ცვლილებები მოითხოვს საწარმომ, პრაქტიკული წესით, აღრიცხოს ცვლილება IBOR რეფორმის შედეგად საკონტრაქტო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, სახელმძღვანელოს გამოყენებით ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფებში. შედეგად უშუალო მოგება ან ზარალი არ არის აღიარებული. აღნიშნული პრაქტიკული წესი გამოიყენება მხოლოდ საჭირო ცვლილებაზე და ფარგლებში, IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგის სახით, და ახალი საფუძველი წინა საფუძველის ეკონომიკურად ექვივალენტურია. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ დროებით გათავისუფლების უფლებას ფასს 9-დან, მოეთხოვებათ გამოიყენონ აღნიშნული პრაქტიკული მეთოდი. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოითხოვს მოიჯარეებმა გამოიყენონ მსგავსი პრაქტიკული მეთოდი იჯარის მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის IBOR რეფორმის შედეგად მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს.

7 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები (გაგრძელება)

- 1-ელი ფაზის ბოლო დღე, ჰეჯირების ურთიერთობებში არასაკონტრაქტო განსაზღვრული რისკის კომპონენტების შეღავათებთან დაკავშირებით: 2 ფაზის ცვლილებები მოითხოვს საწარმომ მომავალში შეწყვიტოს 1 ფაზის შეღავათების გამოყენება არასაკონტრაქტო განსაზღვრული რისკის კომპონენტზე როდესაც ცვლილებები განხორციელდება არასაკონტრაქტო განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც შეწყდება ჰეჯირების ურთიერთობები, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება. რისკის კომპონენტებთან დაკავშირებით 1 ფაზის ცვლილებებში ბოლო თარიღი არ იყო გათვალისწინებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების სააღრიცხვო მოთხოვნების გამოყენებიდან: 2 ფაზის ცვლილებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან, ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომლებზეც პირდაპირი ზემოქმედება მოახდინა IBOR რეფორმამ.
- დამატებითი ფასს 7 ინფორმაცია IBOR რეფორმასთან დაკავშირებით: ცვლილებები მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის მიმდინარეობას და რისკებს, რომლებიც წარმოიშობა გადასვლსი შედეგად; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან ახალ სტანდარტზე, დაყოფილია მნიშვნელოვანი საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთით; და (iii) IBOR რეფორმსი შედეგად რისკის მართვის სტრატეგიაში ნებისმიერი ცვლილების აღწერა. .

კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის ანგარიშგებაში 2: სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 1 შესწორდა და მოითხოვს კომპანიებმა გაამჟღავნონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. ცვლილება ითვალისწინებდა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის განსაზღვრებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია იმ შემთხვევაში, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლები ვერ შეძლებდნენ სხვა არსებითი ინფორმაციის გაგებას ფინანსურ ანგარიშგებებში. ცვლილება ითვალისწინებდა ილუსტრაციულ მაგალითებს სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის შესახებ, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს არსებითად საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში. გარდა ამისა ცვლილება ბასს 1-ში განმარტავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის არა-არსებითი ინფორმაციის გამჟღავნება არ არის საჭირო. თუმცა მისი გამჟღავნების შემთხვევაში, გაურკვეველი არ უნდა გახდეს სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ინფორმაცია. ამ ცვლილების დასაბუთებისთვის, ფასს პრაქტიკის ანგარიშგება 2 „არსებითობის შეფასება“ ასევე შესწორდა სახელმძღვანელო მითითებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციებზე არსებითობის კონცეფციის გამოყენების წესის შესახებ. ამჟამად კომპანია აფსებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ბასს 8-ში: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გაცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ცვლილებები ბასს 8-ში განმარტავს როგორ უნდა განასხვავოს კომპანიებმა ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებებისგან სააღრიცხვო შეფასებებში. ამჟამად კომპანია აფსებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე..

თუ სხვაგვარად არ არის ზემოთ აღწერილი, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

8 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები წარმოდგენილია საერთო კონტროლის ქვეშ, ან თუ ერთ–ერთ მხარეს შეუძლია აკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან გამოიყენოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებულ მხარესთან თითოეული შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას, არამედ ურთიერთობის არსს..

2020 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მთლიანი თანხა	-	993	166	**1,159**
გაცემული სესხები	81	9,087	-	**9,168**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	56	-	**56**

2019 წლის 23 აგვისტოს კომპანიამ გასცა 2,000 ათასი საკრედიტო ხაზი შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე, 11% წლიური საპროცენტო განაკვეთით, დაფარვის ვადა 2020 წლის 23 აგვისტო. 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა დამატებით 6.610 ათასი ლარი შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე რამდენიმე ტრანშად. განახლებული დაფარვის თარიღი არის 2021 წლის 31 დეკემბერი.

შემოსავლის და ხარჯის მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის იყო შემდეგი:

ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
საპროცენტო შემოსავალი	5	469	-	**474**
იაჯრის შემოსავალი	-	133	-	**133**
შემოსავალი ხარჯების გამოკლებით სათადარიგო ნაწილების, მასალების და ჯართის გაყიდვა / გასხვისებიდან.	-	167	-	**167**
შემოსავალი ხარჯების გამოკლებით ძირითადი საშუალებების გაყიდვა / გასხვისებიდან.	-	11	-	**11**
ელექტროენერგიის გენერაციის ხარჯები	-	(106)	-	**(106)**
საოპერაციო იჯარის ხარჯი ძირითად საშუალებებზე	-	(40)	-	**(40)**
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	-	(760)	-	**(760)**
საკონსულტაციო ხარჯები	-	(1,222)	-	**(1,222)**
სადაზღვევო ხარჯი			(1,030)	**(1,030)**
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	-	(3)	-	**(3)**

8. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი::

ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მთლიანი თანხა	-	524	192	**716**
გაცემული სესხები	60	2,009	-	**2,069**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	19	-	**19**

შემოსავლის და ხარჯის მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის იყო შემდეგი:

ათას ლარში	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ არსებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
საპროცენტო შემოსავალი	5	-	-	**5**
საოპერაციო იჯარის შემოსავალი, ტექნიკური წყლის გაყიდვა და საპროცენტო შემოსავალი		303	-	**303**
ელექტროენერგიის გენერაციის ხარჯები	-	(185)	-	**(185)**
სადაზღვევო ხარჯი	-	-	(1,117)	**(1,117)**
საოპერაციო იჯარის ხარჯი ძირითად საშუალებებზე	-	(36)	-	**(36)**
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	-	(1,826)	-	**(1,826)**
საკონსულტაციო ხარჯები	-	(1,200)	-	**(1,200)**
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინ	-	4	-	**4**

დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით სხვა უფლებები და ვალდებულებები არ არის წარმოდგენილი.

ძირითადი ხელმძღვანელობის კომპენსაცია. ძირითად ხელმძღვანელობაში შედის გენერალური დირექტორი და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2020 წელს ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალის ანაზღაურება, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიან ხელფასებსა და ბონუსებს, შეადგენდა 286 ათას ლარს. (2019 წელს: 261 ათას ლარს).

ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალის მიმართ არანაირი ვალდებულება და პირობითი ვალდებულება არ არსებობს.

9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათას ლარში	მიწა	შენობები	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	გაყვანილობები და ფიტინგები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	არმატურა და ფიტინგები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება								
2019 წლის 1 იანვარს	**5,931**	**24,572**	**52,992**	**9,347**	**25,886**	**363**	**1,381**	**120,472**
დამატებები	-	17	-	-	77	40	-	134
გასხვისებები	-	-	-	-	(5)	(1)	-	(6)
2019 წლის 31 დეკემბერს	**5,931**	**24,589**	**52,992**	**9,347**	**25,958**	**402**	**1,381**	**120,600**
დამატებები	-	-	-	-	31	64	-	95
გასხვისებები					(7)	-	(215)	(222)
2020 წლის 31 დეკემბერს	**5,931**	**24,589**	**52,992**	**9,347**	**25,982**	**466**	**1,166**	**120,473**
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება								
2019 წლის 1 იანვარს	**-**	**(1,865)**	**(4,068)**	**(1,118)**	**(4,587)**	**(115)**	**(304)**	**(12,057)**
ცვეთის დარიცხვა	-	(863)	(1,882)	(517)	(2,167)	(69)	(90)	(5,588)
გასხვისებები	-	-	-	-	5	1	-	6
გაუფასურების დარიცხვა	-	(11,855)	(25,510)	(4,182)	(10,270)	-	-	(51,817)
2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(14,583)**	**(31,460)**	**(5,817)**	**(17,019)**	**(183)**	**(394)**	**(69,456)**
გაუფასურების დარიცხვა	-	(395)	(861)	(236)	(1,031)	(80)	(86)	**(2,689)**
გასხვისებები	-	-	-	-	4	-	44	**48**
2020 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(14,978)**	**(32,321)**	**(6,053)**	**(18,046)**	**(263)**	**(436)**	**(72,097)**
საბალანსო ღირებულება								
2019 წლის 1 იანვარს	5,931	22,707	48,924	8,229	21,299	248	1,077	108,415
2019 წლის 31 დეკემბერს	5,931	10,006	21,532	3,530	8,939	219	987	51,144
2020 წლის 31 დეკემბერს	**5,931**	**9,611**	**20,671**	**3,294**	**7,936**	**203**	**730**	**48,376**

ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 47,973 ათას ალრს (2019 წლის 31 დეკემბერს: 50,653 ათას ლარს) დაგირავდა უზრუნველყოფის სახით სს თიბისი ბანკის კრედიტებთან და სესხებთან დაკავშირებით (იხილეთ შენიშვნა 15).

2019 წელს შპს საქნახშირის წილის რეალიზაციამ და შედეგად გარდაბანში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის პროექტის შეჩერებამ წარმოქმნა გაუფასურების ინდიკატორები. გაუფასურების ტესტის შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ხარჯი შეადგენდა 51,817 ათას ლარს.

10 სასაქონლო-საწარმოო მარაგები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალა	6,697	6,573
ჯართი და სხვა მასალები	35	35
სულ მარაგები	**6,732**	**6,608**

11 გაცემული სესხები

ათას ლარში	Rate	2020	2019
მიმდინარე			
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	10%-11%	9,168	2,069
მინუს: საკრედიტო ზარალის რეზერვის ხარჯი მოგება ზარალში		-	-
სულ გაცემული სესხები AC-ით		**9,168**	**2,069**

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხბი მოიცავს შემდეგს: 1) 2017 წლის 20 ივლისს გაცემული სესხები შპს Chemexim International-თვის - 42 ათასი ლარი და 2) 2019 წლის 23 აგვის ტოს გაცემული სესხები შპს Georgian International Energy Corporation-თვის - 8,859 ათასი ლარი. იხილეთ შენიშვნა 8 დამატებითი დეტალებისთვის.

12 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

ათას ლარში	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	18,407	22,743
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ფარგლებში.	**18,407**	**22,743**
ავანსები თანამშრომლებზე	3	3
წინასწარი გადახდები	494	578
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	**18,904**	**23,324**

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები არ მოიცავს პროცენტს და ზოგადად გააჩნიათ 30 დღიანი ვადა.

საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის განისაზღვრება ცხრილში წარმოდგენილი მატრიცის შესაბამისად. მატრიცა ეფუძნება დღეების რაოდენობას, როდესაც აქტივი გადავადებულია, პროგნოზული ინფორმაციის კორექტირებები არ მოითხოვება.

	31 დეკემბერი 2020				**31 დეკემბერი 2019**			
ათას ლარში	**ზარალის კოეფიციენტი**	**მთლიანი საბალანსო ღირებულება**	**გამოყ. ვადაში ECL**	**წმინდა საბალანსო ღირებულება**	**ზარალის კოეფიციენტი**	**მთლიანი საბალანსო ღირებულება**	**გამოყ. ვადაში ECL**	**წმინდა საბალანსო ღირებულება**
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები				**18,407**				
- მიმდინარე	0%	18,407	-		0%	22,743	-	**22,743**
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	0%	-	-		0%	0	-	
- 30 -დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული.	0%	-	-		0%	0	-	
- 91 -დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	0%	-	-		0%	0	-	
- 181 -დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	0%	-	-		0%	0	-	
- 360 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	0%	-	-		0%	0	-	
სულ	**-**	**18,407**	**0**	**18,407**	**-**	**22,743**	**-**	**22,743**

13 ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარში	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
საბანკო ნაშთები, გადასახდელი მოთხოვნისას	1,280	2,063
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**1,280**	**2,063**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფულის და ფულის ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის კატეგორიების საფუძველზე 2020 წლის 31 დეკემბერს. იხილეთ შენიშვნა 24 კომპანიის საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის აღწერილობისთვის.

ათას ლარში	**საბანკო ნაშთები, გადასახდელი მოთხოვნისას**	**ვადიანი დეპოზიტები**	**სულ**
- საუკეთესო	19	-	**19**
- კარგი	1,261	-	**1,261**
სულ ფული და ფულის ექვივალენტები, სალაროს ნაღდი ფულის გარდა	**1,280**	-	**1,280**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფულის და ფულის ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი, საკრედიტო რისკის კატეგორიების საფუძველზე 2019 წლის 31 დეკემბერს. იხილეთ შენიშვნა 24 კომპანიის საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის აღწერილობისთვის..

ათას ლარში	**საბანკო ნაშთები, გადასახდელი მოთხოვნისას**	**ვადიანი დეპოზიტები**	**სულ**
- საუკეთესო	17	-	**17**
- კარგი	2,046	-	**2,046**
სულ ფული და ფულის ექვივალენტები, სალაროს ნაღდი ფულის გარდა	**2,063**	**-**	**2,063**

14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 100% ფლობს შპს Georgian Industrial Group Holding. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10,377 ათას ლარს.

15 სესხები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი		
სს თიბისი ბანკი	12,875	14,065
სულ გრძელვადიანი სესხები	**12,875**	**14,065**
მიმდინარე		
სს თიბისი ბანკი	6,212	5,625
სულ მიმდინარე სესხები	**6,212**	**5,625**
სულ სესხები	**19,087**	**19,690**

15 სესხები (გაგრძელება)

კომპანიის სესხები დენომინირებულია ვალუტებში შემდეგნაირად:

ათას ლარში	2020	2019
სესხები დენომინირებული:		
- ლარში	3,000	3,000
- აშშ დოლარში	16,087	16,690
სულ სესხები	**19,087**	**19,690**

სესხები თიბისი ბანკიდან:

3,000 ათასი ლარის საკრედიტო ხაზი კომპანიამ მიიღო 2019 წლის 31 ოქტომბერს, წლიური საპროცენტო განაკვეთით: 4.75% + სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი, დაფარვის ვადა: 2020 წლის 7 თებერვალი; გადასახდელი ყოველთვიურად. ეს ხელშეკრულება შესწორდა 2020 წლის 30 ნოემბერს. ცვლილების შესაბამისად შეთანხმებული იქნა ახალი დაფარვის თარიღი - 2021 წლის 15 აპრილი. იხილეთ შენიშვნა 28 საკრედიტო პირობებში განხორციელებულ შემდგომი შესწორებებისთვის.

6,900 ათასი აშშ დოლარის სესხი კომპანიამ მიიღო 2018 წლის 29 ივნისს, წლიური საპროცენტო განაკვეთით: 5.5%+6 თვიანი LIBOR, დაფარვის ვადა: 2025 წლის 29 ივნისი, გადასახდელი ყოველთვიურად. იხილეთ შენიშვნა 28 საკრედიტო პირობებში განხორციელებულ შემდგომი შესწორებებისთვის.

კომპანია არ ახდენს ჰეჯირების აღრიცხვას თავის უცხოურ ვალუტაში ვალდებულებებთან ან საპროცენტო განაკვეთების რისკებთან დაკავშირებით. სესხების საბალანსო ღირებულებები და სამართლიანი ღირებულებები არის შემდეგი:

	საბალანსო ღირებულებები		სმართლიანი ღირებულებები	
ათას ლარში	2020	2019	2020	2019
ვადიანი სესხები	16,087	16,090	16,087	16,090
საკრედიტო ხაზი	3,000	3,000	3,000	3,000
სულ სესხები 31 დეკემბერს	**19,087**	**19,690**	**19,087**	**19,690**

მიმდინარე სესხების სამართლიანი ღირებულება შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებას, შესაბამისად დისკონტირების ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ არის. სამართლიანი ღირებულებები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება შემდეგ სასესხო განაკვეთებს 5.75% - 13.25% (2019: 7.4%-13.25%) და მოქცეულია სამართლიანი ღირებულებსი იერარქიის 2 დონის ფარგლებში.

ფინანსური საქმიანობებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებების ანალიზი ფინანსური საქმიანობებიდან და მოძრაობები კომპანიის ვალდებულებებში ფინანსური საქმიანობებიდან თითოეული პერიოდისთვის. აღნიშნული ვალდებულებების მუხლები ასახულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში

ათას ლარში	2020	2019
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 1 იანვარს	**19,690**	**19,971**
დანამატები	14,964	15,653
დარიცხული პროცენტი	1,230	1,478
გადახდილი ძირი თანხა	(17,782)	(17,117)
გადახდილი პროცენტი	(1,246)	(1,483)
საკურსო სხვაობა	2,231	1,188
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 31 დეკემბერს	**19,087**	**19,690**

16 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

ათას ლარში	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	15,048	21,448
სულ ფინანსური დავალიანებები სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ფარგლებში	***15,048***	***21,448***
მომხმარებლის წინასწარი გადახდები	-	4
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	**15,048**	**21,452**

17 შემოსავლები

კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან შემოსავლების დაყოფა კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად:

ათას ლარში	**2020**	**2019**
მოცემულ პერიოდში შესრულებული ვალდებულებები		
- შემოსავლები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	43,999	99,609
- შემოსავლები გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების გაწევიდან	21,343	21,208
სულ შემოსავლები	**65,342**	**120,817**

2020 წელს ელექტროენერგიის გაყიდვიდან შემოსავალი შემცირდა ძირითადად საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან დაბალი ენერგოგენერაციის მოთხოვნების გამო.

18 რეალიზაციის ხარჯები

ათას ლარში	**2020**	**2019**
გაზის შესყიდვის ხარჯი	43,590	100,807
პესონალის ხარჯები	3,474	3,581
ცვეთა და ამორტიზაცია	2,358	4,866
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	1,171	2,862
სადაზღვევო ხარჯები	1,019	1,105
კომუნალური მომსახურებები	616	392
სემეკის და სხვა მარეგულირებელი მოსაკრებლები	358	468
მასალების და გამოყენებული სახარჯი მასალების ხარჯი	250	484
უსაფრთხოების სამსახურის ხარჯები	171	171
ტრანსპორტირების და საავტომობილო ხარჯები	132	127
საოპერაციო იჯარის ხარჯი	38	38
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	26	69
სხვა	193	252
სულ რეალიზაციის ხარჯი	**53,396**	**115,222**

19 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ლარში	2020	2019
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები*	1,365	1,385
პესონალის ხარჯები	777	866
ცვეთა და ამორტიზაცია	341	722
სადაზღვევო ხარჯები	100	97
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	40	23
ტრანსპორტირების და საავტომობილო ხარჯები	33	37
წარმომადგენლობითი ხარჯები	27	-
კომუნალური მომსახურებები	19	30
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	19	19
საოპერაციო იჯარის ხარჯები	5	4
სხვა	57	57
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2,783**	**3,240**

(*)პროფესიული მომსახურების საფასური შეადგენს 74 ათას ლარს - რომელიც გაწეულია აუდიტორის / აუდიტური ფირმის მიერ შესრულებული აუდიტური და სხვა პროფესიული მომსახურებებისთვის, როგორც განსაზღვრავს საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ. (2019 წელს: 87 ათასი).

20 სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა

ათას ლარში	2020	2019
საიჯარო შემოსავალი	252	220
შემოსავლები მასალების გასხვისებიდან	179	139
მისაღები თანხების / ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა.	87	-
შემოსავალი PPE ავტომობილის გასხვისებიდან	11	-
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(660)	(998)
საქველმოქმედო და სპონსოროზის ხარჯები	(28)	(9)
ჯარიმის ხარჯები	-	(1)
სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	-	164
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	**(159)**	**(485)**

21 ფინანსური შემოსავალი

ათას ლარში	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	500	31
სულ ფინანსური შემოსავალი	**500**	**31**

22 ფინანსური ხარჯი

ათას ლარში	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	1,230	1,478
საბანკო საკომისიოები და მოსაკრებლები	23	4
საკურსო ზარალი, წმინდა	2,219	1,201
სულ ფინანსური ხარჯები	**3,472**	**2,683**

23 გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით და სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებით, რომელიც ხასიათდება ხშირი ცვლილებებით. 2017 წლიდან ასევე მიღებულია იურიდიული პირების მოგების გადასახადის ახალი რეჟიმი, რომლის მიზანია კომპანიების მოგების დაბეგვრის გამარტივება. თუმცა, იმის გამო რომ მოგების გადასახდში ცვლილებები ახალია, კვლავ რჩება გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზი და გაუგებრობები.

შედეგად საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შესაძლო ზოგჯერ ბუნდოვანი იყოს და იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციების შესაძლებლობას. გადასახადები ექვემდებარება საგადასახადო ორგანოების მხრიდან გადახედვას და შემოწმებას და საგადასახადო ვალდებულებების შემცირებამ შესაძლოა განაპირობოს მკაცრი სანქციები, ჯარიმები და პროცენტების დარიცხვა. საგადასახადო წელი მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში რჩება ღია, საგადასხადო ორგანოების მიერ შემოწმების მიზნით, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, საგადასახადო წელი შესაძლებელია ღიად დარჩეს უფრო დიდი ხნის განმავლობაშიც.

აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების და დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად. თუმცა საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული იყოს და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანოები გამოიყენებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

დაგირავებული და დატვირთული აქტივები.კომპანიას დაგირავებული აქვს ქვემოთ მითითებული აქტივები უზრუნველყოფის სახით სს თიბისი ბანკის სესხებისა და კრედიტებისთვის:

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ძირითადი საშუალებები	9	47,972	50,653
არამატერიალური აქტივები		35	44
სულ დაგირავებული აქტივები		**48,007**	**50,697**

გარანტიები. გარანტიები არის გამოუხმობი გარანტიები, რომ კომპანია განახორციელებს გადახდებს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება. კომპანიის გარანტია უკავშირდება შპს „საქნახშირის' 5,000 აშშ დოლარის სესხს სს თიბისი ბანკიდან.

ვალდებულებების შესრულება. კომპანიას გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სს თიბისი ბანკის სესხებთან. ასეთი ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა განაპირობოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის, მათ შორის, სესხის ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. კომპანიას არ დაურღვევია ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, 2020 წლის 31 დეკემბერს კომპანიას სს თიბისი ბანკისგან მიღებული აქვს კომფორტის წერილი აღიშნული ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით ბანკის მოთხოვნებზე და უფლებებზე.

23. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ეკოლოგიური საკითხები. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება საქართველოში განვითარების პროცესშია და რეგულარულად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციების გადახედვა. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს, რომელიც გათვალისწინებულია გარესმოდაცვით კანონმდებლობაში. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე უნდა იქნას აღიარებული. შეუძლებელია პოტენციური ვალდებულებების შეფასება, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას არსებულ კანონმდებლობაში, სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებსა და წესებში გახორციელებული ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით..

24 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და ფასთან დაკავშირებული სხვა რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი მიზანია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკისადმი დაქვემდებარებულობა შენარჩუნდეს აღნიშნულ ფარგლებში. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვა განკუთვნილია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისი წესით გახორციელების უზრუნველსაყოფად, საოპერაციო და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ერთი მხარე მიაყენებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქტების გაყიდვის შედეგად საკრედიტო პირობების და სხვა სახის გარიგებების საფუძველზე მეორე მხარეებთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე აისახება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში..

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი არის უდიდესი რისკი კომპანიის საქმიანობისთვის; აქედან გამომდინარე ხელმძღვანელობა სიფრთხილით ეკიდება საკრედიტო რისკის მართვის საკითხს.

საკრედიტო რისკის შეფასება რიკის მართვის მიზნებისთვის არის კომპლექსური და მოიცავს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის მიხედვით. საკრედიტო რისკის შეფასება აქტივების პორტფელისთვის ითვალისწინებს დეფოლტის დადგომის ალბათობის, ასოცირებული ზარალის კოეფიციენტების და დეფოლტის კორელაციის შემდგომ შეფასებებს კონტრაგენტებს შორის.

ლიმიტები. კომპანია ადგენს საკრედიტო რისკის დონეებს (რომელსაც ის იღებს) ლიმიტების დაწესებით კონტრაგენტებისთვის ან კონტრაგენტების ჯგუფებისთვის და გეოგრაფიული და სამრეწველო სეგმენტებისთვის მისაღები რისკის მოცულობაზე. ლიმიტებს საკრედიტო რისკის დონეზე რეგულარულად ამტკიცებს ხლმძღვანელობა. ასეთი რისკები რეგულარულად კონტროლდება სასურსათო და სამრეწველო სექტორის მიერ და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო ლიმიტს აანალიზებს და ამტკიცებს ხელმძღვანელობა. საკრედიტო რისკისმონიტორინგის მიზნით სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე მზადდება რეგულარული ანგარიშები, რომლებიც ორიენტირებულია კლიენტის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შედეგებზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედების შესახებ გაუარესებული გადახდისუნარიანობის მქონე კლიენტებთან ეცნობება ხელმძღვანელობას და განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაგენტების საქმიანობას და აკონტროლებს გადავადებულ ნაშთებს.

საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემა. საკრედიტო რისკის შეფასება და ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საკრედიტო რისკის მოცულობის მიხედვით, კომპანია იყენებს მიდგომას, რომელიც ეფუძნება დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poor's – "S&P", Fitch, Moody's) მიერ შეფასებულ რისკის კატეგორიებს. შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები ასახულია შიდა განსაზღვრული მასშტაბის საფუძველზე დეფოლტის ალბათობების განსაზღვრული დიაპაზონით, როგორც აღწერილია ქვემოთ ცხრილში:

ძირ. მასშ. საკრედიტო რისკის კატ.	**გარე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების შესაბამისი რეიტინგები (S&P)**	**შესაბამისი PD ინტერვალი**
საუკეთესო	AAA to BB+	0,01% – 0,5%
კარგი	BB to B+	0,51% – 3%
დამაკმაყოფილებელი	B, B-	3% – 10%
სპეციალური მონიტორინგი	CCC+ to CC-	10% – 99,9%
დეფოლტი	C, D-I, D-II	100%

თითოეული ძირითად მასშტაბის საკრედიტო რისკის კატეგორია ენიჭება კონკრეტულ გადახდისუნარიანობის კატეგორიას:

- საუკეთესო – ძლიერი საკრედიტო ხარისხი დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- კარგი – ადეკვატური საკრედიტო ხარისხი ზომიერი საკრედიტო რისკით;
- დამაკმაყოფილებელი – ზომიერი საკრედიტო ხარისხი დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რისკით;
- სპეციალური მონიტორინგი – ობიექტები, რომლებიც მოითხოვს მჭიდრო მონიტორინგს და გამოსწორებით მართვას; და
- დეფოლტი – ობიექტები, სადაც ადგილი ჰქონდა დეფოლტს.

გარე რეიტინგები ენიჭება კონტრაგენტებს დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ, როგორიცაა S&P, Moody's და Fitch. აღნიშნული რეიტინგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე აქტივების კლასის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათას ლარში	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები		
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (შენიშვნა12)	18,407	22,743
სესხების გაცემა (შენიშვნა 11)	9,168	2,069
ფული და ფულის ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები გადასახდელი მოთხოვნისას (შენიშვნა13)	1,280	2,063
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე	**28,855**	**26,875**

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას შეზღუდვების დაწესებით მიღებული რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც უკავშირდება მეორე მხარეებს ან მეორე მხარეთა ჯგუფებს. საკრედიტო რისკების დონეზე შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ასეთი რისკების მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადაგაცილებული დებიტორული დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და ასევე თვალყურს ადევნებს ვადაგაცილებული ნაშთებს. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა შესაბამისად თვლის ვადიანობისა და სხვა ინფორმაციის მიწოდებას საკრედიტო რისკთან დაკავშირებით, როგორც ეს წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში..

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციებს. 2020 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მსხვილი კლიენტები მოიცავდა 3 კონტრაგენტს (2019 წ. 31 დეკემბერს: 3 კონტრაგენტი). ნაშთი შეადგენდა 17,639 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბერს: 22,532 ათას ლარს ან 93% (2019 წლის 31 დეკემბერს: 97%) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მთლიანი თანხიდან

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში და (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

საბაზრო რისკებისადმი დამოკიდებულებები ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, მაშინ როცა ყველა სხვა ფაქტორი რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილებაც შესაძლებელია დარეგულირდეს – მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და უცხოური ვალუტის კურსში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტასთან დაკავშირებით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით::

	31 დეკემბერს 2020		
ათას ლარში	**ფულადი ფინანსური აქტივები**	**ფულადი ფინანსური ვალდებულებები**	**წმინდა საბალანსო პოზიცია**
ლარი	28,500	(18,044)	**10,456**
აშშ დოლარი	274	(16,091)	**(15,817)**
ევრო	81	-	**81**
სულ	**28,855**	**(34,135)**	**(5,280)**

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ცხრილში შეჯამებულია კომპანიის გაცვლითი კურსის რისკი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	31 დეკემბერს 2019		
ათას ლარში	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	26,770	(24,448)	2,322
აშშ დოლარი	45	(16,690)	(16,645)
ევრო	60	-	60
სულ	**26,875**	**(41,138)**	**(14,263)**

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები კაპიტალში და არაფულადი აქტივები არ ითვლება, რომ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მოგების და ზარალის და ასევე კაპიტალის მგრძნობელობა შესაძლო ცვლილებების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ვალუტის გაცვლით კურსში, კომპანიის საწარმოების ფუნქციონალურ ვალუტასთან დაკავშირებით, ხოლო ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებლები უცვლელი რჩება.

ათას ლარში	2020	2019
აშშ დოლარი გამყარდა 20%–ით	(3,163)	(3,329)
აშშ დოლარი შესუსტდა 20%–ით	3,163	3,329
ევრო გამყარდა 20%–ით	16	12
ევრო შესუსტდა 20% –ით	(16)	(12)

რისკი გამოითვალა მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც დენომინირებულია კომპანიის საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია იღებს რისკს, რომელიც დაკავშირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ზემოქმედებასთან მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის დაქვემდებარებულობა საპროცენტო განაკვეთის რისკების მიმართ. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საერთო თანხები საბალანსო ღირებულებით, რომელიც იყოფა საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთის გადახედვის ან დაფარვის ვადების მიხედვით, იქედან გამომდინარე, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება..

ათას ლარში	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2020						
სულ ფინანსური აქტივები	19,687	-	9,168	-	-	**28,855**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(15,436)	(4,753)	(1,071)	(12,875)	-	**(34,135)**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობის სხვაობა 2020 წლის 31 დეკემბერს	**4,251**	**(4,753)**	**8,097**	**(12,875)**	**-**	**(5,280)**

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი ოდენობა, საბალანსო ღირებულებით, რომელიც იყოფა საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთის გადახედვის ან დაფარვის ვადების მიხედვით, იქედან გამომდინარე, რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათას ლარში	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2019						
სულ ფინანსური აქტივები	24,806	-	2,069	-	-	**26,875**
სულ ფინანსური ვალდებულებები	(24,781)	(565)	(1,726)	(11,828)	(2,238)	**(41,138)**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობის სხვაობა 2019 წლის 31 დეკემბერს	**25**	**(565)**	**343**	**(11,828)**	**(2,238)**	**(14,263)**

თუ აღნიშნული თარიღისთვის საპროცენტო განაკვეთები იყო 100 საბაზისო პუნქტით დაბალი და ყველა სხვა ცვლადი დარჩა უცვლელი, მოგება წლის განმავლობაში იქნება 170 ათასი ლარით მაღალი, ძირითადად დაბალი საპროცენტო ხარჯის შედეგად ცვალებად საპროცენტო ვალდებულებებზე.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც საწარმოს შეექმნება სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად ამოწმებს მის ხელთარსებულ ფულად სახსრებს. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებისგან..

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები მათი სახელშეკრულებო, დარჩენილი დაფარვის ვადის მიხედვით. ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს შეთანხმებულ არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის ფინანსური იჯარის მთლიან ვალდებულებებს (მომავალი ფინანსური ხარჯების დაქვითვამდე). ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

თუ გადასახდელი თანხა არ იქნება ფიქსირებული, გამჭვანებული თანხა განისაზღვრება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაყვანილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათას ლარში	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები (შენიშვნა16)	15,048	-	-	-	-	**15,048**
სესხები (შენიშვნა 15)	423	847	5,862	14,293	-	**21,425**
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის მომავალი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები	**15,471**	**847**	**5,862**	**14,293**	**-**	**36,473**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათას ლარში	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები (შენიშვნა16)	21,448	-	-	-	-	**21,448**
სესხები (შენიშვნა 15)	3,382	762	2,567	14,313	2,287	**23,311**
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის მომავალი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები	**24,830**	**762**	**2,567**	**14,313**	**2,287**	**44,759**

25 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია კომპანიას მიეცეს შესაძლებლობა მომავალშიც განაგრძოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ, მფლობელების და სხვა დაინტერესებული პირების შემოსავლით უზრუნველყოფისა და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნებისათვის კაპიტალის ღირებულების შემცირების მიზნით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დარეგულირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა შეასწოროს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდების თანხები, დაუბრუნოს შესამცირებლად. კაპიტალი აქციონერებს, ან გაყიდოს აქციები ვალის შესამცირებლად..

როგორც ამ დარგის სხვა კომპანიები, მოცემული კომპანია ახორციელებს კაპიტალის მონიტორინგს გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის საფუძველზე. აღნიშნული კოეფიციენტი გამოითვლება, როგორც წმინდა ვალი, რომელიც იყოფა საერთო კაპიტალზე. წმინდა ვალი გამოითვლება, როგორც საერთო სასესხო სახსრები (მათ შორის სესხები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები, როგორც ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. საერთო კაპიტალი გამოითვლება როგორც საკუთარი კაპიტალი, რომელიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, პლუს წმინდა ვალი.

25. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები იყო შემდეგი::

ათას ლარში	**31 დეკემბერი 2020**	**31 დეკემბერი 2019**
სესხები	19,087	19,690
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	15,048	21,448
მინუს: ფული და ფულის ექვივალენტები	(1,280)	(2,063)
წმინდა ვალი	**32,855**	**39,075**
სულ საკუთარი კაპიტალი	50,773	44,741
სულ კაპიტალი	**83,628**	**83,816**
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	**39%**	**47%**

26 ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ

სამართლიანი ღირებულების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით შემდეგნირად: (i) პირველ დონეზე განიხილება შეფასება კოტირებული ფასებით (შესწორებების გარეშე) იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე; (ii) მეორე დონეზე განიხილება შეფასებების მეთოდიკა აქტივების ან ვალდებულებებისთვის არსებული ყველა მატერიალური ხარჯებით, პირდაპირ (ანუ როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ანუ გამოყვანილი ფასებიდან); და (iii) მესამე დონეზე განიხილება შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება სარწმუნო საბაზრო მონაცემებს (ანუ არასარწმუნო საწყისი მონაცემები). ხელმძღვანელობა განიხილავს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამათლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება სარწმუნო საწყისი მონაცემები, რომლებიც მოითხოვენ მნიშვნელოვან შესწორებას, ასეთი შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების საწყისი მონაცემის მნიშვნელობა შეფასებულია სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია. ქვემოთ მოყვანილია დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღრებულება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით

26 ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ (გაგრძელება)

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020 დონე 1 სამართლიანი ღირებულება	დონე 2 სამართლიანი ღირებულება	დონე 3 სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფული და ფულის ექვივალენტები	1,280	-	-	**1,280**
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	-	18,407	-	**18,407**
- გაცემული სესხები	-	9,168	-	**9,168**
სულ აქტივები	**1,280**	**27,575**	**-**	**28,855**
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები	-	15,048	-	**15,048**
- სესხები	-	19,087	-	**19,087**
სულ ვალდებულებები	**-**	**34,135**	**-**	**34,135**

ათას ლარში	31 დეკემბერი 2019 დონე 1 სამართლიანი ღირებულება	დონე 2 სამართლიანი ღირებულება	დონე 3 სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფული და ფულის ექვივალენტები	2,063	-	-	2,063
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	-	22,743	-	22,743
- გაცემული სესხები	-	2,069	-	2,069
სულ აქტივები	**2,063**	**24,812**	**-**	**26,875**
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები	-	21,448	-	21,448
- სესხები	-	19,690	-	19,690
სულ ვალდებულებები	**-**	**41,138**	**-**	**41,138**

26. ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებები მათი იერარქიის მე-2 და მე-3 დონეზე შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადის შეფასების მეთოდის გამოყენებით. მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლ ღირებულებად. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღება მოსალოდნელია დისკონტირებული სახით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი სარკრედიტო რისკით და დაფარვისთვის დარჩენილი ვადით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების საანგარიშო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სამომავლო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც მიიღება დისკონტირებული სახით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე..

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. დაფარვის დადგენილი ვადის მქონე, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების საანგარიშო სამართლიანი ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

.

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა საზომი კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის, ფასს 9-ის – "ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება"" – შესაბამისად ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (i) ისინი, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, (ii) ისინი, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომში სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და (iii) ისინი, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVPL). კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მოქცეულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ამორტიზირებული ღირებულების კატეგორიაში.

28 ანგარიშგების დასრულების შემდგომი მოვლენები

2021 წლის 4 იანვარს კომპანიამ შეასწორა სესხის ხელშეკრულებები სს თიბისი ბანკთან. შესწორებული პირობების შესაბამისად ვადიანი სესხის დაფარვის ვადა გაგრძელდა 2030 წლის 15 დეკემბრამდე, წლიური საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებული ნაწილით, რომელიც შეთანხმებულია 7.3%-ზე და საკრედიტო ხაზის დაფარვის ვადა გაგრძელდა 2021 წლის 15 ნოემბრამდე.

შპს მტკვარი ენერჯი
ხელმძღვანელობის ანგარიში
კომპანიის საქმიანობების მიმოხილვა, 2020 წ.

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შ.პ.ს. ,,მტკვარი ენერჯი“ („კომპანია“), საიდენტიფიკაციო კოდით #202066726, დაფუძნდა 1999 წელს და მდებარეობს საქართველოში კერძოდ ქ. გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქ.თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 40კმ-ის მანძილზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და 100% წილის მფლობელი იყო საქართველოში რეგისტრირებული შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (“GIG”).

შ.პ.ს. ,,მტკვარი ენერჯი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ელექტროსისტემისათვის გარანტირებული სიმძლავრის ელექტროენერგიის წარმოების უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის გენერაცია. კომპანიის ძირითად საოპერაციო აქტივს წარმოადგენს თბოელექტროსადგური, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მის საკუთრებაში არსებულ მე-9 ენერგობლოკს. მე-9 ენერგობლოკი წარმოადგენს ზეკრიტიკული პარამეტრებით მომუშავე ბლოკური ტიპის თბოელექტროსადგურს, დადგმული სიმძლავრით 300 მვტ.

შ.პ.ს. ,,მტკვარი ენერჯი“-ს კუთვნილი მე-9 ენერგობლოკის საქმიანობა განეკუთვნება რეგულირებად სფეროს და ანგარიშვალდებულია საქართველოს ენერგეტიკისა და მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინაშე. შესაბამისად ელექტროენერგიის რეალიზაცია ხორციელდება დადგენილი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

2020 წლის განმავლობაში, სემეკმა დაადგინა შემდეგი ტარიფები და პერიოდი კომპანისათვის:

- რეზერვირების პერიოდი - 276 დღე
- გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი - 77,330 ლარი დღეში
- ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი კვტ /სთ, 2020 წლის განმავლობაში: იანვარი - 0.12636 ლარი, თებერვალი - 0.12290 ლარი, სექტემბერი - 0.16030 ლარი, დეკემბერი - 0.13987 ლარი.

2021 წლისთვის გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი დღეში შემცირდა 69,649 ლარამდე, გენერაციის ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგია შეიცვალა 2020 წელს წინა წლებთან შედარებით, და გამოითვალა სემეკის მიერ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ყოველთვიურად.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა ენერგობლოკის ოპერატიულ-დისპეტჩერული დაქვემდებარების შესაბამისად უზრუნველყოფს ბლოკის ჩართვაზე განკარგულების გაცემას ან სარეზერვო რეჟიმში ყოფნას.

რაც შეეხება წარმოების პროცესს, თბოელექტროსადგური ძირითად საწვავად მოიხმარს ბუნებრივ აირს, რომლის მოწოდება ხდება ქ. გარდაბანში არსებული გაზგამანაწილებელი სადგურიდან. ბუნებრივი აირი პირდაპირი დინებით მიეწოდება საქვაბე აგრეგატს ТГМП 344А КП1000-25-545.542, სადაც საწვავის დაწვის შედეგად გამოყოფილი სითბო გადაეცემა ქიმიურად გაწმენდილ მკვებავ წყალს, რის შედეგადაც ხდება ზეკრიტიკული პარამეტრების (მახვილი ორთქლის წნევა -255 კგძ/სმ^2, მახვილი ორთქლის ტემპერატურა-545 ОС) გადახურებული ორთქლის მიღება, რომელიც მიეწოდება კონდეციური ტიპის ტურბინის К-300-240 2 ЛМЗ მაღალი წნევის ცილინდრში. ტურბინას მოძრაობაში მოჰყავს სინქრონული სამფაზიანი ТВВ-320-2Е ტიპის გენერატორი, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 300 მვტ-ს. გამომუშავებული ელექტროენერგია ძალოვანი ტრანსფორმატორი 500 კვ. მისალტვის საშუალებით დაკავშირებულია ქვესადგურ „გარდაბანი 500“-ის ღია გამანაწილებელ მოწყობილობასთან, რომელიც ამომრთველების საშუალებით მიერთებულია საქართველოს ელექტროსისტემასთან.

ენერგობლოკს ქიმიურად გაწმენდილი წყლით უზრუნველყოფს ქიმიური საამქრო, რომლის ნომინალური მწარმოებლურობა შეადგენს 150 ტ/სთ.

ენერგობლოკის ტექნიკური წყალმომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის დამბიდან, საიდანაც წყალი მაგისტრალური არხის საშუალებით, ექვსკამერიანი სალექარების, მბრუნავი ბადეთა საკნებისა და გაკამკამებული წყლის სალექარების გავლით მიეწოდება საცირკულაციო სისტემას.

ინფრასტრუქტურულ ერთეულებში არსებული ტექნიკური საშუალებების სწორი ექსპლუატაცია და მოვლა უზრუნველყოფს ტექნიკური წყლის უწყვეტ მიწოდებას ელექტროენერგიის წარმოების ძირითად კვანძებზე.

2020 წლის განმავლობაში კომპანიის შემოსავლები შეადგენდა 65,342,000ლარს. წმინდა ზარალი 6,032,000 ლარს, მთლიანი მოგება 11,946,000 ლარს (18.28%). მთლიანი მოგება მიმდინარე წელს (CY) დაახლოებით 2-ჯერ მეტია წინა წლებთან შედარებით (5,595,000 ლარი, 4.6%). ზრდა გამოწვეულია ნაკლები საამორტიზაციო დანარიცხებით 2019 წელს გაუფასურებულ გრძელვადიან აქტივებზე; ასევე ნაკლები დაგეგმილი სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯებით 2020 წელს.

ელექტროენერგიის გამომუშავების დინამიკა 2019-2020 წლებში:

განზ. ერთ.	2019 წელი	2020 წელი
კვტ.სთ	846,199,450	337,225,105

როგორც ცხრილიდან ჩანს 2020 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება 2019 წელთან შედარებით შემცირდა 508,974,345 კვტ.სთ.-ით საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მოთხოვნის შესაბამისად.

2020 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 195 თანამშრომელი. (191 თანამშრომელი 2019 წელს)

2. კომპანიის მომავალი განვითარების გეგმები

კომპანია ზედმიწევნით უზრუნველყოფს რეგულირებადი საქმიანობის სწორად წარმართვას, ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესრულებას და მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ეს მაჩვენებლები არის რელევანტური. მომავალი პერიოდის გეგმებიც განსაზღვრულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი რეგულირებადი საქმიანობის სრული მოცულობით და წარმატებით შესრულება.

ენერგობლოკის სრულ მზადყოფნას ხელს უწყობს დროულად და მაღალკვალიფიციურად ჩატარებული საჭირო სარემონტო სამუშაოები, მუდმივი ზრუნვა დასაქმებული პერსონალის ცოდნის ამაღლებაზე, შრომის დაცვის, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების მუდმივი კონტროლი.

კომპანიის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ასევე ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად მათ შედეგებზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო გეგმებზეც. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2020 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

4. კომპანიის ფილიალების მიმოხილვა

კომპანია არ ფლობს იურიდიულ ფილიალებს. სტრუქტურული ერთეული მდებარეობს ქ. გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქ.თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 40კმ-ის მანძილზე.

5. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

(თანხები გამოხატულია ათას ლარში)	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი	65,342	120,817
მთლიანი მოგება	11,946	5,595
წმინდა მოგება	6,032	(52,599)
მთლიანი მოგების მარჟა (%)	18.3%	4.6 %

წმინდა ზარალი 2019 წელს უმეტესწილად გამოწვეულია გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებით, რომელიც შეადგენს 51,817 ათასი ლარს. მთლიანი მოგება გაორმაგდა 2020 წელს შემცირებული საამორტიზაციო დანარიცხების და სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯების გამო.

რაც შეეხება არაფინანსურ მაჩვენებლებს, დიდი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხებს, როგორც ძირითად ტერიტორიაზე ასევე ინფრასტრუქტურულ ერთეულებში. შემუშავებულია: ნარჩენების მართვის გეგმა და შესაბამისად სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირება და გეგმის შესაბამისად განკარგვა, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ტარდება ღონისძიებები გარემოზე ზემოქმედების შესაბამისი დოკუმენტაციის დასკვნით ნაწილში რეკომენდაციების შესრულებაზე, ქალაქ რუსთავში მდინარე მტკვარზე არსებული სათავე ნაგებობის (კაშხალი) თევზსავალისა და თევზამრიდის უწყვეტი და სწორი ფუნქციონირების მონიტორინგი, ექსპლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა და ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მონიტორინგი.

6. ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს ადგილი არ ქონია აქციების შეძენას კომპანიის მიერ.

7. ურთიერთობა კლიენტებთან

ვინაიდან კომპანიის ძირითადი საქმიანობა (ელექტროენერგიის გაყიდვა) მკაცრად რეგულირდება, კლიენტების რაოდენობა შემოიფარგლება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ განსაზღვრული პირდაპირი კლიენტებით და დისტრიბუციის ლიცენზიატებით. „მტკვარი ენერჯი“ გამოიმუშავებს 100% შემოსავალს მხოლოდ 3 კლიენტისგან: სს ენერგო-პრო ჯორჯია, სს თელასი და ESCO; ეს უკანასკნელი არის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, რომელიც ასევე ფარავს მთლიან ხარჯებს გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველსაყოფად. კომპანია წლიურად ხელს აწერს პირდაპირ ხელშეკრულებებს ელექტრონერგიის (სიმძლავრის) შესყიდვის შესახებ თავის კლიენტებთან, გაყიდვების მოცულობა განისაზღვრება ESCO-ს მიერ და ტარიფებს ადგენს სემეკი. დავალიანების ნაშთი ინკასირდება თითოეული თვის ბოლოს კლიენტებისგან ან ბანკებისგან ფაქტორინგის ხელშეკრულებების შესაბამისად.

კომპანიას მყარი და სტაბილური ურთიერთობა აქვს თავის კლიენტებთან.

8. ურთიერთობა მომწოდებლებთან

კომპანიას ჰყავს 2 მთავარი მომწოდებელი: შპს „სოკარ გაზ ექსპორტ - იმპორტი“, საიდანაც ხდება გაზის შესყიდვა და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია - რომელიც უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებებს. ეს უკანასკნელი არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია, რომელიც არის ერთადერთი ლიცენზიატი გაზის ტრანსპორტირების მომსახურებების გაწევის უფლებით, ლიცენზიის შეუზღუდავი ვადით.

კომპანიას მყარი და სტაბილური ურთიერთობა აქვს თავის მომწოდებლებთან.

9. ურთიერთობა თანამშრომლებთან

კომპანიაში მუშაობს დაახლოებით 195 თანამშრომელი, კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: გაზაფხულის ქუჩა 18 და გარდაბანში. ადამიანური რესურსები კომპანიის ყველაზე ღირებულ აქტივებად ითვლება, ხელმძღვანელობა ზრუნავს მათ განვითარებაზე და ყველას უქმნის თანაბარ შესაძლებლობებს. სტანდარტული ანაზღაურების პაკეტის გარდა, თანამშრომლებს აქვთ დაზღვევის და შესაბამის სფეროებში ტრენინგების / კურსების ანაზღაურების შესაძლებლობა.

10. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.
ფინანსური რისკის ერთ ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს **საკრედიტო რისკი,** რომელიც წარმოადგენს რისკს,როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ერთი მხარე მიაყენებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქტების გაყიდვის შედეგად საკრედიტო პირობების და სხვა გარიგებების საფუძველზე მეორე მხარეებთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას შეზღუდვების დაწესებით მიღებული რისკის იმ მოცულობაზე , რომელიც უკავშირდება მეორე მხარეებს ან მეორე მხარეთა ჯგუფებს. საკრედიტო რისკების დონეზე შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ასეთი რისკების მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას.

კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და ასევე თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ქონია დარეზერვებული მოთხოვნები, ისევე როგორც 2019 წელს.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის პერიოდი ზოგადად წარმოადგენს 30 დღეს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მსხვილი კლიენტები მოიცავდა 3 კონტრაქტორს (ასევე 3 კონტრაქტორს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). სულ მთლიანი ნაშთი აღნიშნული კლიენტებისგან შეადგენდა 17,640 ათას ლარს. (22,533 ათასი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) ან 93% (97% 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მთლიანი თანხიდან, რაც დაიფარა მომდევნო 30 დღის ვადაში.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან უცხოურ ვალუტებში და პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად

კონტროლდება. თუმცა ამგვარი მიდგომების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

საბაზრო რისკებისადმი დამოკიდებულებები ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, მაშინ როცა ყველა სხვა ფაქტორი რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილებაც შესაძლებელია დარეგულირდეს - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და უცხოური ვალუტის კურსში.

სავალუტო რისკი
სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტასთან დაკავშირებით და მთლიანობაში. პოზიციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ლიკვიდურობის რისკი
ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომელმაც შესაძლოა საწარმოს შეუქმნასსირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად ამოწმებს მის ხელთარსებულ ფულად სახსრებს. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრავ მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებისგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები მათი სახელშეკრულებო, დარჩენილი დაფარვის ვადის მიხედვით. ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს შეთანხმებულ არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის ფინანსური იჯარის მთლიან ვალდებულებებს (მომავალი ფინანსური ხარჯების დაქვითვამდე). ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

თუ გადასახდელი თანხა არ იქნება ფიქსირებული, გამჭვავნებული თანხა განისაზღვრება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაყვანილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.
ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასობით ლარში	მოთხოვნა 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
კრედიტორული დავალიანებები	15,048	-	-	-	-	15,048
სესხები	423	847	5,862	14,293	-	21,425
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის მომავალი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები	**15,471**	**847**	**5,862**	**14,293**	**-**	**36,473**

კომპანის მენეჯმენტი ზედმიწევნით უზრუნველყოფს რეგულირებადი საქმიანობის სწორად წარმართვას, ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესრულებას და მომავალი პერიოდის გეგმებიც განსაზღვრულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი რეგულირებადი საქმიანობის სრული მოცულობით და წარმატებით შესრულება.

კოვიდ-19 პანდემია

2019 წლის ბოლოს პირველად ინფორმაცია კოვიდ-19-ის (კორონავირუსი) შესახებ გადმოიცა ჩინეთიდან. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის შეზღუდული რაოდენობის შემთხვევების ეცნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას. 2020 წელს ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისი უარყოფითმა ზემოქმედებამ ფართო მასშტაბები მიიღო.

საქართველოს ეკონომიკაზე კვლავ უარყოფით გავლენას ახდენს მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობა რეგიონში. ამასთან 2020 წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაცხადა კოვიდ–19 გლობალური პანდემია. პანდემიაზე რეაგირებისთვის საქართველოს მთავრობამ განახორციელა რიგი ზომები კოვიდ–19–ის ზემოქმედებისა და გავრცელების შესაკავებლად, როგორიცაა მოგზაურობის აკრძალვები და შეზღუდვები, კარანტინი, თვითიზოლაციის ბრძანებები და შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობაზე, მათ შორის დახურვები. აღნიშნულმა ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა და შესაძლოა კვლავ მაოხდინოს ბიზნესზე, ბაზრის მონაწილეებზე, ასევე საქართველოზე და გლობალურ ეკონომიკაზე გაურკვეველი ვადის განმავლობაში.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათ შედეგებზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზეც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და თანამშრომლების განვითარების ხელშესაწყობად.

მალხაზ იასეშვილი

გენერალური დირექტორი

თეონა კორტი

მთავარი ბუღალტერი